უნდა გახარროთ, ქართველნო, რომ, ბორბოტსა სძლია საქართველომ!

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2012 წელი.

№188 (7064)

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკარგისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უმენებია! გილოცავთ!

დღეიდან ქართველი ხალხის ოცნებების ასრულება იწყება

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. მან ყველა მოქალაქეს, ვინც არჩევნებში მხარი კოალიციას დაუჭირა, „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისიდან მიმართა და განაცხადა, რომ მათი დიდი ხნის ლოდინი დიდი სიხარულით დასრულდა.

„ეგზიტპოლების შედეგებით ჩვენ დიდი უპირატესობით გავიმარჯვეთ. გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა და გილოცავთ გამარჯვებას“, — განაცხადა ივანიშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ერთი წლის განმავლობაში მის გუნდთან ერთად იღვწოდა გამარჯვებისთვის და ყველა იმ მხარდამჭერს, რომელმაც „მოახერხა ერთად დამდგარიყო სამშობლოს, მომავლისა და ქვეყნის განვითარებისთვის“.

ამასთან, ივანიშვილის თქმით, დღეიდან იწყება ქართველი ხალხის ოცნებების ასრულება, რაც ძალიან დიდ შრომას მოითხოვს.

„ჩვენ აუცილებლად გავხდებით ევროპის ღირსეული წევრი და აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრი“, — განაცხადა მან.

— პატივს ვცემთ ჩვენს ოპონენტებს და არასოდეს არ იქნება საქართველოში საწინააღმდეგო აზრის დევნა. ეს ამით დასრულდება დღეს. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, განუხრელად გავაგრძელებთ გზას ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ, აუცილებლად გავხდებით ევროპის ღირსეული წევრი, აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრი და გავხდებით ჭეშმარიტად. მადლობა ყველას და ყველაზე დიდ ძალას — საქართველოს მოქალაქეებს. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ღირსეულ მომავალს იმსახურებთ“, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

„ვინც ხუთი ნომერი შემოსაზა, ისინიც ჩვენები არიან, არავინ არ დაიზიანოთ, არ დაუპირისპირდეთ, ყველანი ერთად დავდგეთ და გავაძლიეროთ ჩვენი საყვარელი საქართველო!“

ასე მუმიებიც არ მოიქცეოდნენ, მიხეილ!

ეგზიტპოლების გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც, არჩევნების პირველი შედეგების შეფასებისას, კი ცდილობდა, იხტიბარი არ გაეტეხა, მაგრამ აშკარად დათრგუნული ჩანდა. სადღა იყო მისი ხელოვნური ყინჩობა და შემართება.

— ჯერჯერობით, — თქვა მან, — საარჩევნო შედეგები ითვლება და ჩვენ დაგვჭირდება კიდევ მინიმუმ რამდენიმე საათი, სანამ სრული სურათი გამოიხატება, მაგრამ უკვე ახლა, ეგზიტპოლების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ პროპორციულ კენჭისყრაში უპირატესობა მოიპოვა „ქართული ოცნების“ კოალიციამ, ხოლო რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს, იქ უპირატესობა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვა.“

ეჰ, კვლავ დაგვაბოლეთ, უფალო პრეზიდენტო, მაგრამ კომენტარები მომავალში, ახლა კი ერთსღა გეტყვით: რატომ არ მიულოცეთ გამარჯვება ოპონენტებს?

ამის ვაჟკაცობა და შინაგანი კულტურა არ გეყოთ?

ასე სულმდაბლურად ხომ თვით ის ჯოჯოები, ჯუჯები თუ მუმიებიც არ მოიქცეოდნენ, როგორც თქვენ მოიხსენიებდით ოპონენტებს სახალხოდ?

◎ დიდ გზაგასაყართან

საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვლება

საარჩევნო უბანზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეუღლესთან, სანდრა ელისაბედ რულოვსა და უმცროს ვაჟ ნიკოლოზ სააკაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა, მთაწმინდის ოლქის მე-19 საარჩევნო უბანზე საკუთარი არჩევანის გაკეთების შემდეგ, ჟურნალისტებს განუცხადა, დღევანდელი დღე ისტორიულია, რადგან დღეს ქართული სახელმწიფოს ბედი წყდება.

„დღეს წყდება იმის ბედი, რომ საქართველომ იაროს წინ და აღარასოდეს დაბრუნდეს წარსულში, და რომ ჩვენი შვილები გაიზარდონ უკეთეს მომავალში. ქართველი ხალხი ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებდა და დღესაც, როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ ქართველი ხალხის სიბრძნეში და გონიერებაში, რადგან ეს არჩევნები გავლენას მოახდენს მრავალი შემდეგი თაობის ცხოვრებაზე“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

„დღეს საუბარი არ არის რომელიმე პარტიის გამარჯვებაზე, საუბარია საქართველოს გამარჯვებაზე და ქართველი ერი აუცილებლად გაიმარჯვებს“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მეუღლემ ეკატერინე ხვედელიძემ ხმა მისცა მთაწმინდის ოლქში, კოჯრის ქ. № 6, 144-ე ბაგა-ბაღში გახსნილ საარჩევნო უბანზე.

„დავიბრუნოთ თავისუფალი საქართველო“ — „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა იმ საარჩევნო უბანზე, სადაც მისმა მეუღლემ ეკატერინე ხვედელიძემ არჩევნებში ხმა მისცა.

„საქართველოს მიეცა საშუალება, გააკეთოს დემოკრატიული არჩევანი. ქართველმა ხალხმა დიდი გაჭირვება გამოიარა, მაგრამ 20-წლიანმა პოლიტიკურმა კულტურამ მას მისცა გამოცდილება და დღეს მძიმე გამოცდას ჩააბარებს“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

„დღეს მოვახერხებთ და არჩევნების გზით გავისტუმრებთ ხელისუფლებას“, — განაცხადა ჟურნალისტებთან ბიძინა ივანიშვილმა, — **თუ არჩევნები იდეალურად ჩატარდება, „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში საერთოდ ვერ შევა...“**

„დღეს საქართველოში ჭეშმარიტად ისტორიული დღეა. საქართველოს უახლოეს ისტორიაში. პირველად,

არა მარტო, საქართველოს უახლოეს ისტორიაში, არამედ, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში ქართველი ხალხი არჩევანს გააკეთებს ჭეშმარიტად დემოკრატიულთან ახლო არჩევნებთან. ახლოს იმიტომ ვაცხადებ, რომ ხელისუფლებამ ბევრი დარღვევა განახორციელა არჩევნების დღემდე, ალბათ კიდევ რაღაცას მოიფიქრებენ, მაგრამ ქართველი ხალხის სიბრძნემ, ისტორიულმა გამოცდილებამ მოახერხა ის, რომ ჩვენ დღეს მოვახერხებთ და არჩევნების გზით გავისტუმრებთ ხელისუფლებას“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საკუთარი არჩევანი საბურთალოზე, შავიშვილის ქუჩაზე მდებარე საარჩევნო უბანზე დააფიქსირა.

მერაბიშვილი ჟურნალისტებთან მოკლე კომენტარით შემოიფარგლა.

„ალბათ ყველა მიხვდებით, რას მივეცი ხმა. ხმა მივეცი საქართველოს დამოუკიდებლობას, განვითარებას, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, დღევანდელი დღე იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი დემოკრატიისკენ, კიდევ ერთი ნაბიჯი განვითარებისაკენ, კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ,“ — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, დღევანდელი არჩევნები იქნება კიდევ ერთი წინ გადაგმული ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარმა კანდიდატმა როლანდ ახალაიამ ზუგდუდის საარჩევნო ოლქის №12 უბანზე უკვე მისცა ხმა.

„ხმა მივეცი დემოკრატიულ საქართველოს, ქვეყნის წინსვლას. ეს არჩევნები იქნება გადამწყვეტი, ამ ეტაპზე უკან წავალთ თუ წინ წავალთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინ წავალთ — არა წარსულს, არა ანარქიას, არა კორუფციას, არა ქურდულ სამყაროს“, — განაცხადა ახალაიამ.

მისმა მთავარმა კონკურენტმა, „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ კი ხმა ნამდვილ დემოკრატიას მისცა ზუგდიდის №10 საჯარო სკოლაში განთავსებულ 30-ე საარჩევნო უბანზე.



„ხმა მივეცი რეალურ პროგრესსა და არა ფასადურ ცვლილებას. ხმა მივეცი სამართლიანობის აღდგენას, ხმა მივეცი იმ ძალას, რომლის რეალურად მჯერა და საქართველოს რეალურ ინტეგრაციას ევროპაში, რომელსაც თითოეული ქართველი ოჯახი იგრძნობს“, — აღნიშნა ალასანიამ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ სიის პირველმა ნომერმა კახი კალაძემ საკუთარი არჩევანი უკვე გააკეთა. კალაძემ ხმა საირმის ქუჩაზე, 64-ე საარჩევნო უბანში მისცა.

„მე გავაკეთე არჩევანი ჩემი ქვეყნის ნათელი მომავლისთვის, სადაც თითოეული მოქალაქის ღირსება იქნება დაცული და ყველას ექნება საშუალება, მიიღოს ხარისხიანი განათლება და ხარისხიანი ჯანდაცვა“, — განმარტა კალაძემ.

ქალაქ თბილისის მერმა გიგი უგულავამ № 15 საარჩევნო უბანზე მისცა ხმა. უგულავა არჩევნებზე შვილთან ერთად მივიდა. მერს უბანზე მაღალი აქტივობის გამო რიგში დგომა მოუხდა.

„დღევანდელი არჩევანის მნიშვნელობა ძალიან დიდია. დღევანდელი დღე ჩვენი ქვეყნის მომავალ გეზს განსაზღვრავს, გავაგრძელებთ წინ სიარულს თუ შევჩერდებით და დავბრუნდებით უკან. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი არჩევანს წინსვლაზე და განვითარებაზე გააკეთებს“, — განაცხადა უგულავამ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დღევანდელ არჩევნებს ისტორიულს უწოდებს. ამის შესახებ მან თბილისის №4 საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის შემდეგ განაცხადა.

„არსებობს სამი დიდი სიწმინდე — ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. მე მივეცი ხმა მათ, ვინც დაიცავს ამ უდიდეს ფასეულობებს, საქართველოს თავისუფლებას და წინსვლას“, — ბრძანა პატრიარქმა.

პატრიარქმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ საქართველო განვითარების გზაზე დადგება და თავის დიდ ტრადიციებს შეინახავს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსში განთავსებულ საარჩევნო უბანზე მეუღლესთან და ვაჟთან — ბექასთან ერთად მივიდა.

მისი თქმით, ამომრჩეველმა **„უნდა შეამოხაზოს ის ძალა და ის ნომერი, რომელიც მისი მსახური იქნება და არა დამშინებელი, ვერცხლით მომსყიდავი, დამტერორებელი და მომტყუებელი. ასეთი ძალა ყველამ ვიცით, ვინც არის.“** — დასძინა მან.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერები დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი კი საბურთალოს რაიონში იმყოფებოდნენ ხმის მისაცემად.

დავით უსუფაშვილმა ყურადღება გაამახვილა „ქართული ოცნების“ აქტიურ წევრებზე ზეწოლაზე ხელისუფლების მხრიდან და დასძინა, რომ დაახლოებით 18 რაიონში 250-ზე მეტმა აქტივისტმა მიიღო ზარი პოლიციის განყოფილებიდან. **„მათ პოლიციის განყოფილებებში იბარებენ, მაგრამ ესაა უფრო ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ამას ჩვენები არ შეუშინდებიან. არავინ არ მიატოვებს თავის პოსტს. და დღეს ჩვენი ვალია, დავიცვათ ამომრჩეველთა არჩევანი“.**

ხოლო თინა ხიდაშელმა აღნიშნა, რომ ისინი არავის მისცემენ უფლებას, არც ერთი უბნიდან და ოლქიდან რაიმე მანიპულაციით წაიღონ ხმები. **„ქართველი ხალხის არჩევანს ყველამ უნდა ვცეთ პატივი, და ერთხელ და სამუდამოდ ამ ხელისუფლებამაც უნდა გაიგოს, რომ საქართველოს მოსახლეობის არჩევანით ხდება და წყდება, ვინ იქნება ქვეყნის ხელისუფლებაში“...**

კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა კანდიდატმა გუბაზ სანიკიძემ არჩევანი უკვე გააკეთა, მან ქუთაისის №76 უბანზე მისცა ხმა.

„ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება, საქართველოს სჭირდება სიახლე და ვფიქრობ, დღეს საქართველო სწორ არჩევანს გააკეთებს“, — განაცხადა სანიკიძემ.

საგანგებოდ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოში საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. იგი გაოცებულია წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ფაქტებით, ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს და არ გამიგიაო, — აღნიშნა მან. ასევე გააკრიტიკა ხელისუფლება და დასძინა: **„არც ვიცი, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვინ არიან ეს ადამიანები, რომელთაც ადამიანები ნამდვილად არ ეწოდებათ...“**

თამარ შაიშმელაშვილი

ყველამ ერთად ავიხდინეთ „ქართული ოცნება!“

სრულიად საქართველოს უდიდესი სიხარულის მომნიჭებელი პირველი ეგზიტპოლის შედეგები „ამომრჩეველთა ლიგამ“ გვამცნო. მისი მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, „ქართულ ოცნებას“ — 70, 24 პროცენტი აქვს; „ნაციონალურ მოძრაობას“ — 24,66 პროცენტი.

1,45 პროცენტმა უარი თქვა გამოკითხვაზე. დანარჩებმა პარტიებმა 5,9 პროცენტი მიიღო.

ლიგამ ეგზიტპოლი ამერიკულ პარტნიორ კომპანია „ბარსელო ენდ კომპანის“ დახმარებით განახორციელა.

* * *

შთამბეჭდავ სიმართლეს და ხალხის ნებას ვერც „რუსთავი 2“-ის მიერ დაკვეთილი ეგზიტპოლების შედეგებმა აუარეს გვერდი: „ქართული ოცნება“ — 51 პროცენტი; „ნაციონალური მოძრაობა“ — 41 პროცენტი; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ — 4 პროცენტი, „ლეიბორისტები“ 1 პროცენტი.

„რუსთავი 2“-ის ცნობით, ეს იყო 16 საათისთვის არსებული მონაცემები.

* * *

„მაესტროს“ დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლის მიხედვით, პროპორციული სიით საქართველოს მასშტაბით „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა 63%; „ნაციონალური მოძრაობა“ — 27%; ქდმ-1%; სხვა პარტიები — 3%

რაც შეეხება თბილისს, „ქართულ ოცნებას“ 75% ჰქონდა; „ნაციონალურ მოძრაობას“ — 18% პროცენტი; ქდმ-1 პროცენტი, სხვა პარტიებს 2 პროცენტი.

„მაესტროს“ დაკვეთით კვლევა ჩატარდა 73-ივე ოლქში; 259 საარჩევნო უბანში. მეთოდოლოგიაზე და კვლევის ჩატარების უზრუნველყოფაზე მუშაობდნენ ოქსფორდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთის კომპანია „ოქსფორდ უნივერსითი ქონსალთინგ“ ამერიკული კომპანია.

აკი, მიშამ მაჟორიტარული არჩევნები ჩვენ მოვიგეთო!

ტელეკომპანია „მაესტროს“ ეგზიტპოლების მიხედვით, თბილისის მაჟორიტარულ არჩევნებში, პროპორციულის მსგავსად, „ქართული ოცნება“ ლიდერობს.

კერძოდ, **მთაწმინდის** ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატ **ზაზა პაპუაშვილს** 76 პროცენტი აქვს; „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ არჩილ გეგენავას — 23 პროცენტი.

ვაკეში — შალვა შავგულიძეს („ქართული ოცნება“) — 81%; **გიორგი კარბელაშვილს** („ნაციონალური მოძრაობა“) — 15 %.

საბურთალო — დავით უსუფაშვილი („ქართული ოცნება“) 73%; **ანდრია ურუშაძე** („ნაციონალური მოძრაობა“) — 18 %.

კრწანისი — შოთა ხაბარელი („ქართული ოცნება“) 68 %; **დავით საყვარელიძე** („ნაციონალური მოძრაობა“) — 27 %.

ისანი — ალექსანდრე ძანთარია („ქართული ოცნება“) 65%; **გიორგი ვაშაძე** („ნაციონალური მოძრაობა“) 31 %.

სამგორი — ზურაბ აბაშიძე („ქართული ოცნება“) 78 %; **მიხეილ მაჭავარიანი** („ნაციონალური მოძრაობა“) — 18 %.

ჩუღურეთი — ვიქტორ დოლიძე („ქართული ოცნება“) 80 %; **ანდრო ალავიძე** („ნაციონალური მოძრაობა“) — 17%.

დიდუბე — ვახტანგ ხმალაძე („ქართული ოცნება“) 84 %, **გიორგი ჩაჩანიძე** — 14 %.

ნაძალადევი — თეა წულუკიანი („ქართული ოცნება“) 83%, **მერაბ სამადაშვილი** („ნაციონალური მოძრაობა“) — 15%.

გლდანი — იოსებ ჯაჭვლიანი („ქართული ოცნება“) — 77%, **ნიკოლოზ ხაჩირაშვილი** („ნაციონალური მოძრაობა“) — 19%.

◎ არჩევნების წინ

დაპირისპირებულთა მარში

ნიშნავს თუ არა ხალხის აზრი და ნება სააკაშვილისთვის რამეს, არჩევნების მერე გამოჩნდება



„მათთვის, ვინც ხალხის რაოდენობას ითვლის და ვინც წარმოიდგინა, რომ საქართველოს მომავლის დამცველები დააშინა, გადახედოს ამ მოედანს და ნახოს, რომ მათზე ბევრად მეტი ვართ“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ოზურგეთში მოსახლეობასთან შეხვედრისას.

პარალელურად კი თბილისსა და ქუთაისში მიმდინარე ოპოზიციის აქციებზე საქართველოს ისტორიაში არნახული ოდენობის ხალხი იყო თავმოყრილი. წინა დღეს კი მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი ამომრჩევლის გენერალურ დათვალიერებაზე დინამოს სტადიონის შევსებაც ვერ მოახერხა, იმის მიუხედავად, რომ სკოლის მოსწავლეებიც კი იძულებით ჩამოიყვანეს რეგიონებიდან.

როგორც ექსპერტი კახა კახიშვილი ამბობს, **„იმ კადრების შემდეგ მმართველმა პარტიამ ჩათვალა, რომ ისევ უნდა დაიბრუნოს საკუთარი ამომრჩევლის გული. ის ხალხიც კი ვინც ნაციონალებს მხარს უჭერდა, დაბნეული იყო, ქალაქი თითქმის დაცარიელდა მათი საარჩევნო პლაკატებისგან და ხალხმა, უბრალოდ, გაიხადა მაისურები. მათ ჩათვალეს, რომ ასეთი აქციებით და თავდასხმითი რიტორიკით მოეზიდათ ამომრჩეველი. ვიხილეთ კიდეც რამდენიმე პარალელური აქცია მათი ლიდერების მონაწილეობით, გვესმოდა კიდეც, რომ ბევრი ადამიანი სამსახურის დაკარგვის შიშით, ძალით წაიყვანეს და საამისოდ მთელი მუნიციპალური ტრანსპორტი იყო გამოყენებული“.**

როგორც ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, ძალიან საინტერესო იყო ორი დღის განმავლობაში თბილისში აქციების ხილვა.

„ვერ ვიტყოდი, რომ ეს იყო დაპირისპირებულთა მარში — საზოგადოებას ნაკლებად აქვს ერთმანეთის მიმართ სიძულვილი და ეს ძალადობა, რომელიც მეღავნდება ხოლმე, მართულია ხელისუფალთა მიერ. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ცალ-ცალკე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული აქცია „ქართული ოცნებისა“, იყო უფრო მრავალრიცხოვანი და, რაც მთავარია, დინამოს სტადიონისგან განსხვავებით, აქ არავინ იყო მოსული რაიმე ვალდებულების გამო“.

კახა კახიშვილი თვლის, რომ „ქართული ოცნების“ აქციაზე ხალხი მთელი ამ წლების განმავლობაში დაგროვილი პროტესტისა და ბიძინა ივანიშვილის ნდობის გამო მივიდა.

„მთელი მუნიციპალური ტრანსპორტი, მეტროებიც კი გადაჭედილი იყო, ხალხი მიდიოდა საკუთარი სურვილით, რომ თავისი მხარდაჭერა და პროტესტი გამოეხატა. ეს ნიშნავს, რომ ხალხს იმედი აქვს. ამდენი წლის განმავლობაში მათი არავის არ ესმოდა, არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციას. ამდენი ხნის განმავლობაში ხალხი მიტოვებული იყო საკუთარ პრობლემებთან. მათ ივანიშვილის სახით ნახეს ისეთი ადამიანი, რომელშიც დარწმუნებულები არიან, რომ ხელისუფლების სათავეში არ მოდის ბიუჯეტიდან თანხების მოპარვის მიზნით. ამიტომაც განსაკუთრებული მხარდაჭერა, ჩემი აზრით, მხოლოდ ივანიშვილს აქვს, რადგან მასთან კოალიციაში მყოფი ხალხი ადრეც იყო პოლიტიკაში, მაგრამ სამწუხაროდ, ხალხის დიდი ნაწილის ნდობას ვერ იღებდნენ. ივანიშვილის გამოჩენამ უცბად გამოაცოცხლა ხალხი. მათაც კი, ვისაც კოალიციაში შემავალი ხალხი არ მოსწონდა, გადაწყვიტეს, რომ დღეს არის არჩევის დრო. არანაკლები ხალხი იყო პარალელურ აქციაზეც ქუთაისშიც. ასე რომ, ეს ბევრის მიმანიშნებელია ხელისუფლებისთვის“, — აცხადებს კახიშვილი.

მიხეილ სააკაშვილი ირწმუნება, რომ მისი მხარდამჭერები საქართველოს ყველა სოფელსა და ქალაქს გაავსებენ და ისინი ძალიან ბევრნი არიან.

„ხელისუფლებამ მაინც ხომ იცის, თვითონ როგორ შეაგროვა ხალხი და 29 სექტემბრის აქციაზე როგორ მივიდა. ქუჩაში ორგანიზებულად საკუთარი სურვილით გამოსული ხალხი ხელისუფლებისთვის, რომელმაც იცის, რომ მხარდაჭერა არ აქვს, ძალიან საშიშია იმ თვალსაზრისით, რომ ის ნელ-ნელა კარგავს ძალაუფლებას“, — მიიჩნევს კახიშვილი.

როდესაც ხელისუფლება ასეთი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, არა მხოლოდ ქართული საზოგადოება, მისგან რაციონალურ ნაბიჯებს არ ელოდება და არჩევნების შესაძლო გაყალბებაზე სულ უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობს.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის განცხადებით, ხელისუფლება 2 ოქტომბერს საშინელი ციფრების გამოქვეყნებას გეგმავს და არეულობის ფონზე არ არის გამორიცხული, იერიში მიიტანონ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვასა და თავად ივანიშვილზე.

„ამ ინფორმაციის წყაროა, ერთ-ერთი უცხოელი მაღალი თანამდებობის პირი. ეს ადამიანი ინტერპოლის სისტემაში დიდ თანამდებობებზე მუშაობდა. საჯაროდ მინდა განვაცხადო, რომ თუ ხელისუფლებამ გადადგა ასეთი ნაბიჯები და შეეცადა ინსპირირებას, ის დაისახავს მხოლოდ ერთ მიზანს, როგორც ხალხის დაბეჩავებისა და კიდევ ერთხელ წელში გატეხვის მიზანს, ისე — ოპოზიციური ლიდერების და, პირველ რიგში, ბატონი ბიძინას ანგარიშსწორების მიზანს. ალბათ, დაცვის სამსახურები შესაბამის დასკვნებს გააკეთებენ“, — აცხადებს მოლაშვილი.

გაბედავს თუ ვერა ასეულ ათასობით ადამიანის ქუჩაში გამოსვლისა და ოპოზიციური განწყობის დაფიქსირების შემდეგ ხელისუფლება გააყალბოს არჩევნები, ძნელი სათქმელია, რადგან ამ ხელისუფლებისგან რომ ყველაფერი მოსალოდნელია, მთელ საქართველოს არაერთხელ საკუთარი თვალით უხილავს.

ექსპერტი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ცუდის მოლოდინს ხელისუფლების აგრესიული განცხადებები ქმნის.

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

ბიძინა ივანიშვილი წირვა-ლოცვას მეუღლესთან ერთად სიონის საკათედრო ტაძარში დაესწრო

წამებული ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ხსენების დღესთან დაკავშირებულ წირვა-ლოცვას ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად დაესწრო. სიონის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ აღავლინა. სასულიერო პირმა არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა და წმინდანების სახელის მატარებელ ადამიანებს დღესასწაული მიულოცა.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა, ყველას კარგად ესმის, წმინდანად შერაცხულ გმირებს ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულმა რა შეაძლებინა.

— ჩვენ ჭეშმარიტად უნდა გვიყვარდეს ღმერთი და ჩვენი სამშობლო. დღეს კიდევ ერთი დიდი და მნიშვნელოვანი დღე ჩაიწერება საქართველოს უდიდეს და უძველეს ისტორიაში, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერის მეუღლემ ეკატერინე ხვედელიძემ კი იმედი გამოთქვა, რომ დღევანდელი დღე მშვიდობიანად, „ცუდი სიურპრიზების“ გარეშე დასრულდება.

გუშინ მართლმადიდებლური ეკლესია წმინდანად შერაცხული ეროვნული გმირების, რწმენისა და საქვეყნო საქმისთვის წამებული ბიძინა ჩოლოყაშვილის შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ხსენების დღეს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში წირვა-ლოცვა შესრულდა.

ინტერპრესი

◎ სკოლაა, აბა რა!

სადა ვბანაობთ?



ერთ დროს 126-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ, მართლაც, რომ გვიხაროდა ყოველი დღის გათენება — გარდა იმისა, რომ თანაკლასელებთან თითოეული შეხვედრა უზრუნველ ბავშვობას გვიღამაზებდა, არც ლუკმა პურის მოძიების პრობლემა გვთრგუნავდა და არც მანდატურების თვალთვალი გვიქმნიდა ჩაშვების იმიტაციას ფსიქოლოგიური წნეხის თანხლებით.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა, — ჩემს საყვარელ სკოლას იმ ბედკრულ საბჭოთა ეპოქაშიც აჩნდა პოლიტიკური ცხოვრების დამღა, როცა თავსმოხვეულ სისტემას უხდიდა ხარკს და ერთ-ერთ საარჩევნო უბანს წარმოადგენდა. როგორც ყველგან იმ უკიდეგანო ზესახელმწიფოში, ვაჟა-ფშაველას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაშიც 99,9-პროცენტიანი მხარდაჭერა ფორმდებოდა, ბუნებრივია, მმართველი და ერთადერთი კომპარტიის სასარგებლოდ.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქვეყანაში სოციალური ფორმაცია შეიცვალა, საშუალო სკოლას საჯარო დაერქვა, თუმცა იქაურობა ისევ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნეთა მძაფრი ბრძოლის პოლიგონად რჩება.

კი, მაგრამ, სად არის მისი უდიდებულესობა ხალხის ნება? — იკითხავთ, ალბათ.

ნორმალურ საზოგადოებაში პასუხი ნათელი იქნებოდა — ურნაში, მაგრამ მორჩილებაში გაზრდილი თაობის მენტალიტეტს რა ვუყოთ?

ამას თანდათან ეშველება, რასაც, სხვათა შორის, ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები და ნაციონალთა აღვირახსნილობით გამძვინვარებული ქართველობის გააქტიურება მოწმობს უკანასკნელ წლებში მიძინებული სტუდენტობის თამადობით, მაგრამ ხმის დამთვლელთა პროფესიონალიზმისა და, რაც მთავარია, პატიოსნების, რა მოგახსენოთ.

ბევრი რამ არ გავაგრძელოთ და ნაჩქარევი დასკვნებით არ შეგიყვანოთ შეცდომაში, ამჯერად მხოლოდ ერთი შტრიხით შემოვიფარგლები: გუშინ ვაკის მეორე საარჩევნო ოლქის 36-ე საარჩევნო უბანზე დილიდანვე შეკრებილ მრავალრიცხოვან ამომრჩეველს მამულიშვილური ვალის მოსახდელად ანბანის მიხედვით იძახებდნენ.

სკოლაა, აბა რაო, უნებურად გაიფიქრებდი კაცი.

რა თქმა უნდა, დაუჯერებელია XXI საუკუნეში ასეთ თემაზე საუბარი, მაგრამ ნეტავ მეტი სანერვიულო არაფერი გვქონდეს.

გია პლატონიშვილი

თვითმხილველის ბრალდება

2004 წელს საზოგადოებამ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის შემზარავი ფოტოები იხილა: პატიმრობაში მყოფ სულხან მოლაშვილს მთელი ზურგი სიგარეტით ჰქონდა ამომწვარი, სხეულზე უამრავი ჩაქცევა და სისხლნაღღენთი აღენიშნებოდა; როგორც ამბობდნენ, ელექტროშოკით მიყენებული წამების გამო ფეხის ვენები დასკდომაზე ჰქონდა... პრესა წამების ამსახველი კადრებით აჭრელდა. ხელისუფლებამაც დადო პირობა, რომ მოლაშვილის წამების ფაქტს გამოიძიებდა, მაგრამ ეს ამბავი ნელ-ნელა ყველას მიავიწყდა და ფორმალურად აღძრული საქმე „თაროზე შემოდებული“ დარჩა.

სულხან მოლაშვილმა ციხეში 3 წელზე მეტი გაატარა, ბოლოს პატრიარქის თხოვნით შეიწყალეს. იგი ამ მდგომარეობას არ შეჰგუებია და სარჩელი ევროსასამართლოში შეიტანა. როგორც ბატონი სულხანის მამა ამბობს, ხელისუფლებამ ბევრჯერ სცადა მოლაშვილზე სხვადასხვაგვარად ზეწოლა, მაგრამ სტრასბურგიდან საჩივარი არ გამოუტანია. თუმცა, საბოლოოდ იძულებული გახადეს, ქვეყანა დაეტოვებინა და პოლიტიკური თავშესაფარი ეთხოვა.

სულხანის მამა ბატონი თამაზი იხსენებს.

— სულხანს დასდევდნენ; არ გვჯეროდა, რომ დაიჭერდნენ. ერთი ახლობელი მივიდა ბოკერიასთან და ჰკითხა, — რატომ დაჰყვებიან კუდშიო? მაშინ მან დასაჭერი ადამიანების სია უჩვენა, რომელშიც სულხანიც ეწერა. ბევრმა უთხრა ჩემს შვილს, — წადი, თორემ დაგიჭერენო, — მაგრამ პრინციპული ბიჭია, თანაც იცოდა, არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი და არ წავიდა. ის პატრიარქთან მივიდა, რომელმაც დალოცა. იქიდან პროკურატურაში, ირაკლი ოქრუაშვილთან თავისი ფეხით მივიდა. ოქრუაშვილს უთქვამს, — ყველაფერი ქალაქის პროკურატურის ამბავიაო... იქაც თავისი ფეხით მისული სულხანი იმ საღამოს დააპატიმრეს... თუ ოდესმე სასამართლოს უსუსურობის, დაკვეთის ნიმუში დასჭირდა ვინმეს, ამის მაგალითია სულხანის სასამართლო; ყველა სხდომა ჩაწერილი მაქვს და უკეთეს ნიმუშს ვერ ნახავენ... სააკაშვილი ამბობს, — პირველად მესმის, პატიმრების ცემა-წამება თუ ხდებოდა ციხეებშიო. არ არის ეს დაცინვა?! ამის მაგალითი სულხანის საშინელი წამება არ იყო? კონკრეტულად მისი მითითებით აწამეს სულხან მოლაშვილი! მაშინ 148 ინტელიგენტმა მოაწერა ხელი მიმართვას მისი გათავისუფლების მოთხოვნით და სწორედ იმ ხალხს უწოდა სააკაშვილმა „ჩარეცხილები“. სულხანმა სააკაშვილი მისი იუსტიციის მინისტროების დროს დიდი დილემის წინაშე დააყენა და მერე ასე იძია მასზე შური... სულხანი ქურდების საკანშიც შეაგდეს იმ იმედით, რომ მას ცუდად მოექცეოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩემს შვილს ციხეში C ჰეპატიტი შეეყარა. მერე ახალი ბრალდება შეუთითხნეს და იძულებული გახადეს, საქართველოდან წასულიყო. ჩემი უბედურება ის არის, რომ ჩემი ერთი შვილი საქართველოდან გადახვეწეს, მეორე ციხეში გამომიკეტეს. რაღაა ჩემი ცხოვრება?! ეს ტანჯვა კი პირადად მიშა სააკაშვილმა მომაყენა!..

სულხანი რომ დაიჭირეს, ჩემი მეორე შვილი წამოვიდა პოლიციიდან. მაშინ ბარამიძემ დაიბარა და უთხრა, — არსად არ წახვალ, შენს ადგილზე იმუშავებო, — მაგრამ თორნიკემ უარი თქვა... დიდი ხნის შემდეგ, გურამ დონაძის (თორნიკე მასთან მეგობრობდა) მეშვეობით, თორნიკე შს სამინისტროში მიიყვანეს და უთხრეს, დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაგნიშნავთო. ბოლოს ვანო მერაბიშვილთან რომ შევიდა, მას უთქვამს, — სულხანს უთხარი, სტრასბურგიდან საჩივარი გამოიტანოსო. — სავაჭროდ არ მოვსულვარ, აქვე რომ დამიჭიროთ და სულხანმა საჩივარი გამოიტანოს, ახლავე ვენებს გადავიჭრიო, — უთქვამს თორნიკეს ვანოსთვის. ეს გეგმა ჩაუფლავდათ. ამის შემდეგ ბევრი დრო გავიდა და თორნიკემ მითხრა, — მამა, დამდევენ და მგონი, დამაკავებენო. მართლაც დააკავეს. მერე ადეიშვილის გამოგზავნილი კაცი მოვიდა და მითხრა, — დილის 9 საათზე სულხან მოლაშვილი რომ შეიტანეს ევროსასამართლოში თხოვნას საჩივრის გამოტანის თაობაზე, 3 საათზე პროცესი დაინიშნება და 6 საათზე შენი შვილი უკვე სახლში გეყოლებაო. მათთან სულხანიც ვალაპარაკე. იკითხა, — საჩივრის გამოტანაზე განცხადებას რომ დავწერ, მაშინ გამოუშვებთ ჩემს ძმას, თუ საქმის განხილვის მერეო? ის კაცი ისევ ადეიშვილთან გაიქცა და პასუხად მივიღეთ, რომ განხილვის შემდეგ გაუშვებდნენ. 7 წელია, განაჩენს ელოდება და ვინ იცის, კიდევ როდის განიხილავენ, — ე.ი. მანამდე იქ უნდა მჯდარიყო... ეგონათ, ასე გავბრიყვდებოდით. თორნიკე დღემდე პატიმრობაში რჩება. ნარკოტიკის შენახვის ბრალდება წაუყენეს და 8 წელი მიუსაჯეს. ასე მოექცა სააკაშვილის რეჟიმი ჩემს ოჯახს, ეს არის მათი სამართალი!..

სულხან მოლაშვილი (საფრანგეთიდან):

— ეს იყო პერიოდი, როდესაც ხელისუფლებამ პენიტენციარულ სისტემაში ფორსირებული ტემპით გადაწყვიტა ე.წ. რეფორმის ჩატარება. სინამდვილეში, ეს იყო საზოგადოების მოტყუების, ხალხის დაბეჩავების, პატიმართა დამორჩილების, მათი გატეხისა და სასურველი ჩვენების მიღების პოლიტიკა. ამის სულისჩამდგმელი ახალაია არ ყოფილა; პიროვნება, ვინც საფუძველი ჩაუყარა და ერთპიროვნულად განსაზღვრა ამ პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, ამ ქვეყნის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი იყო. მან თავისი „იურიდიული განათლება“ სწორედ ამ საქმეში „დახარჯა“. მან შექმნა ისეთი სისტემა, იუსტიციისა და მათ შორის, პენიტენციარული დაწესებულებების, სადაც ადამიანი უნდა ყოფილიყო მიზნის მიღწევის საშუალება, რასაც პიროვნების წამებით, დასახიჩრებით, სასურველი ჩვენებების მიღებით, საქმეთა ფაბრიკაციით ახდენდა. მისი ერთადერთი პოლიტიკური კრედო არის ძალადობა! „ყველანი ციხეში! ნულოვანი ტოლერანტობა!“ — და ა.შ. დამეთანხმებით, ასეთ ვითარებაში მხოლოდ დიქტატორები გრძნობენ თავს საიმისოდ, რომ მართონ, სინამდვილეში კი ჩაგრონ საზოგადოება.

— თქვენი დაპატიმრება შურისძიება იყო?

— ჩემი საქმე იყო პირველი ეტაპი. მაშინ ოქრუაშვილმა მოაწერა ხელი ჩემს საბრალდებო დასკვნას, რომელიც

„ციხეში გვამებს აფუჭებდნენ, ორგანოებს აცლიდნენ“

როგორ აწამა სულხან მოლაშვილი ხელისუფლებამ ციხეში

მხოლოდ სიცრუეზე იყო აგებული და ეს კარგა ხანია დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტებით. ჩემ მიმართ ათასგვარი უსამართლობა ჩაიდინეს. თანამშრომლებისთვის პრემიის სახით 37.000 ლარის დარიგება ჩაითვალა უფლებამოსილების გადამეტებად და თანამდებობის ბოროტად გამოყენებად. მაშინ, როდესაც იუსტიციის მინისტრობის დროს, იმავეს თვითონ აკეთებდა. უსამართლობა მაშინვე ხდებოდა, როცა თვალი დახუჭეს მაშინდელმა ომბუდსმენმა და ასევე ბევრმა, ძალიან ცნობილმა პირმა, რომლებიც დღეს დემოკრატობანას თამაშობენ. უსამართლობა ხდებოდა მაშინ, როცა ღამის 3 საათზე ჩაატარეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩემი სასამართლო პროცესი და ამას მხოლოდ პროკურორი და მოსამართლე ესწრებოდნენ. არც მე, როგორც ბრალდებული, რომლისთვისაც პატიმრობის ვადა უნდა გაეგრძელებინათ, არც ჩემი დამცველი, არც მოწმე ექსპერტი არ დასწრებიან. ამ დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შერცხვენილები გარეთ იდგნენ და გაოცებულები ჩემს ნათესავებსაც ვერ სცემდნენ პასუხს...

მაშინ ბევრმა ადამიანმა ეს „გაატარა“, ისევე, როგორც სხვა პატიმრების წამების პროცესი. სააკაშვილი რომ ამბობს, არ ვიცოდი, რა ხდებოდაო, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ის ტყუის! თვითონ მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა, ვანო მერაბიშვილმა და ირაკლი ოქრუაშვილმა შექმნეს ეს სისტემა, თორემ ახალაია იყო მათთვის „ხელის ბიჭი“, რომელიც გამოიყენეს... ჩემი წამების საქმე 2004 წელს აღიძრა, მაშინ ინგა გრიგოლიასთან პირდაპირ ეთერში ზურაბ ადეიშვილმა საჯაროდ დადო პირობა, რომ ამ საქმეს გამოიძიებდა, მაგრამ დღემდე ეს საქმე ისევ „თაროზე დევს“. ეს არის ადეიშვილის სამართლიანობა! გამოქვეყნებულ მასალებს, რომლის შეფასებისას ხალხი სიტყვებს ვერ პოულობს, ის მნიშვნელობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ გაჯიუტებულ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის მომხრეები არიან, თვალი აეხილოს. მომავალში კი მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი ამ საშინელებების ავტორებსა და სულისჩამდგმელებს, რომ აღარასოდეს გამეორდეს ასეთი აღვირახსნილობა და ფაშიზმი, პირველი პირისგან წამოსული სისხლისმშელი კანონები. წამება და გაუპატიურება ყოველთვის ხდებოდა სააკაშვილის ციხეში. ეს იწერებოდა პრესაში, თუმცა, ბევრი მალავდა, მაგრამ ხალხმა იცოდა. მე გავახმაურე ჩემი წამების ფაქტი, სამართალდამცავ ორგანოებსაც მივმართე, მაგრამ რა რეაგირება მოჰყვა?!. არა მარტო პატიმრების წამების, არამედ იქ უარესი ფაქტებიც ხდებოდა.

— რას გულისხმობთ?

— ე.წ. გვამების „გაფუჭებას“, რომ საექსპერტოდ არ გამოსდგომოდა ჭირისუფალს. იყო გვამების „გამჭრელი“ პატიმარი, რომელსაც ეს ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული და მხოლოდ ამის შესრულების გამო, კარგ პირობებში იხდიდა სასჯელს. დავალებული ჰქონდა — რომ შემოაკვდებოდათ, ნაწამები პატიმრის ცხედარი ისეთნაირად დაემუშავებინა მორგში, რომ გარეთ გატანის ან გვამის ექსჰუმაციის შემთხვევაში, ექსპერტიზას მისი გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი არ დაედგინა. გარდაცვლილისთვის უნდა ამოეცალა შიგნეულობა და მუცელში, ადამიანის ორგანოების ნაცვლად, იატაკის ჭუჭყიანი ნაჭრები, ხის ყუთის ფიცრები და ათასგვარი სიბინძურე ჩაელაგებინა... ჩემი იქ ყოფნის პერიოდში აბაშის გამგებელი რომ გარდაიცვალა, მე და დათო მირცხულავა მორგის კართან ვიდექით, კარი ღიად დავატოვებინეთ და ვყარაულობდით, რომ ნორმალურად გაეპატიოსნებინათ მიცვალებული. სამწუხაროდ, ყველა გარდაცვლილ პატიმარს ვერ ვუყარაულებდი და ვერ მოვუვლიდი. ე.წ. გვამების „გამფუჭებელი“ ამას აკეთებდა რამდენიმე კოლოფი სიგარეტის საფასურად, ადმინისტრაციის მიერ წახალისებული იყო და იქ კარგად ცხოვრობდა. მერწმუნეთ, ეს ყველაფერი სააკაშვილის ორგანიზებული იყო. მისი ორგანიზებული იყო ისიც, რომ გირგვლიანის მკვლელებს „რეზბალნიცაში“ სპეციალურად გარემონტებული აპარტამენტები მოუმზადეს.

— მაშინ იქ იხდიდით სასჯელს?

— გახსოვთ, ალბათ, ის დღე, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღშფოთებულები მივიდნენ, იდგნენ ჭიშკართან და იქ შეშვებას ითხოვდნენ. მათთან გასული ახალაია კი ცინიკურად ამბობდა, — მიბრძანდით, ნახეთ, აქ არავინ არისო. როგორ იქნებოდნენ იქ, როდესაც დილაუთენია სასწრაფოდ გაიყვანეს, რადგან ინფორმაციამ გაჟონა!.. არადა, პირადად შემხვდნენ მათ სანახავად მოსული ბაჩო და დათა ახალაიები, სოსო თოფურიძე, გრიგალაშვილი და სხვები, პურმარილით დატვირთულები, კიბეზე და მთელი ღამე გირგვლიანის მკვლელებთან ერთად ღრეობდნენ. მოვა დრო, მარტო მე კი არა, იქ მყოფი რამდენიმე პატიმარი, რამდენიმე ექიმი — ყველა ერთად დავადასტურებთ ამ ფაქტებს სასამართლო პროცესებზე და მათ სერიოზული პასუხისგება მოუწევთ ქართული მართლმსაჯულების წინაშე. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ყველაფერი, რასაც სააკაშვილი, მერაბიშვილი, ბაქრაძე ამბობენ, ტყუილია.

— პირადად თქვენ ვინც გაწამებდათ, მათი გვარები თუ შეგიძლიათ დაასახელოთ?

— მათ ვინაობას უახლოეს დღეებში დავასახელებ... სანამ ციხიდან გამოვიდოდი, ახალი საქმე აღმიძრეს და ადმინისტრაციაზე თავდასხმაში დამადანაშაულეს. იქ მოხდა შელაპარაკება. კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც დღესაც უკანონოდ იხდის სასჯელს, ძალიან ცუდად იყო; ისეთი დაავადება ჰქონდა, რომ ადამიანი სისხლისგან იცლებოდა, სასწრაფოდ საოპერაციოდ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადასაყვანი იყო. მისი მკურნალი ექიმი და ქირურგი პირობას აძლევდნენ, რომ ოპერაცია ჩაუტარდებოდა, მაგრამ დაპირებების მიუხედავად, არ აკეთებდნენ. იმ დღესაც უარი უთხრეს. ამის გამო ვუთხარი, — ნუთუ არ გრცხვენიათ, მაინცდამაინც კაცი უნდა მოკვდეს-მეთქი?! იქიდან წამოსულს ახალი საქმე შემითითხნეს, თითქოს მე დავესხი თავს.

ამის შემდეგ, 2009 წელს, ჩემს შვილს ქუჩაში სასტიკად სცემეს, ლავიწის ძვლები დაუმტვრიეს და 2 ოპერაცია დასჭირდა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი შვილი იყო. მერე მემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ, საჩივარი გამომეტანა სტრასბურგიდან. ბოლოს სასამართლო უწყება მოვიდა, როცა ჩემი საქმის განხილვას იწყებდნენ. მოგეხსენებათ, მათ ხელში ისევ რომ მოვხვედრილიყავი, რა დღეში ჩავვარდებოდი, ამიტომ იძულებული გავხდი, საქართველო დამეტოვებინა და პოლიტიკური თავშესაფარი მეთხოვა საფრანგეთისთვის... ახლა, ამ დღეებში სამთავრობო ტელევიზიები შეეცდებიან, გაავრცელონ ახალი სიცრუეები, ეს ფაქტები რომ გადაფარონ. თუ ვინმემ ეს დაიჯერა, მაშინ ჩვენი საქმე წასული ყოფილა. მაგრამ მჯერა ჩვენი ხალხის შემართების, რომ ბოროტებას არ დაუშვებს და ძალიან ახლოსაა გამარჯვება...

ჟურნალი „გზა“

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ, ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ!

ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

„ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲚᲝᲑᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ“

ᲘᲛ ᲤᲝᲜᲖᲔ, როდესაც გლდანის სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეომასალის ავტორზე, საპყრობილის ყოფილ მორიგე ოფიცერზე ვლადიმერ ბედუკაძეზე საქართველოს ხელისუფლებამ ინტერპოლით ძებნა გამოაცხადა, ბელგიის პროკურატურამ სააკაშვილის წინააღმდეგ ვლადიმერ ბედუკაძის სარჩელი წარმოებაში მიიღო. საქმე ეხება პატიმართა წამების სკანდალურ კადრებში მხილებულ დამნაშავე პირებს.

როგორც **For.ge**-სთან საუბარში მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი აცხადებს, ბედუკაძის ადვოკატი ამრანი ხსენებულ სარჩელში იმ დამნაშავე პირთა წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს, რომლებიც პატიმრებზე ძალადობას ახორციელებდნენ.

ირმა ინაშვილის თქმით, საქმე მხოლოდ დაბალი რანგის ჩინოვნიკებს არ ეხება. სარჩელში პირდაპირ მითითებულია მიხეილ სააკაშვილის, ბაჩო ახალაიას, მურთაზ ზოდელავას გვარები.

„რა თქმა უნდა, სააკაშვილს ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა ციხეებში და როგორ აწამებდნენ პატიმრებს. გენერალურმა პროკურორმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, როდესაც ბედუკაძეს ცილი დასწამა 2 მილიონი ევროს აღებაში, ქვეყნის პრეზიდენტმა ბედუკაძე გამოაცხადა სამშობლოს მოღალატედ. ყველა ეს ინფორმაცია, როგორც ფაქტი, აისახა ჩემს სარჩელში. ეს გამოძიება ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი, რათა ყველა დამნაშავე დაისაჯოს“, — განაცხადა ადვოკატმა ამრანმა.

პარალელურად, ადვოკატ ამრანის მასალები ირმა ინაშვილის ჩვენებასაც მოიცავს, რომელშიც ნათქვამია, რომ ციხეებში ყველა ეს დანაშაული ხდებოდა მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა ვანო მერაბიშვილი.

ამდენად, ინაშვილის განმარტებით, დამნაშავე პირთა შორის ფიგურირებს მოქმედი პრემიერ-მინისტრიც.

„შესაძლოა, ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსანს ჰგონია, რომ ის გადარჩება, მაგრამ ეს არ მოხდება. სააკაშვილი, ახალაია, მერაბიშვილი და ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნები თანაბრად აგებენ პასუხს კანონის წინაშე. ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, ვერც ვანო მერაბიშვილი გადარჩება, ვერც სააკაშვილი და ვერც ახალაია, თუ ზოდელავა“, — აცხადებს ირმა ინაშვილი, რომელიც უპრეცენდენტოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ბელგიის პროკურატურამ ადვოკატ ამრანის სარჩელი წარმოებაში მიიღო. როგორც წესი, მოქმედი პრეზიდენტების შესახებ მსგავსი სარჩელების წარმოებაში მიღებას ერიდებიან ხოლმე.

ადვოკატი ამრანი ანალოგიური სარჩელის შეტანას საქართველოს გენერალურ პროკურატურაშიც გეგმავს, რათა ხსენებული მაღალჩინოსნები, პირველ რიგში, საქართველოში გასამართლდნენ.

For.ge ირმა ინაშვილს ესაუბრა.

— ეს არის ადვოკატ ამრანის სარჩელი, რომელიც ითვალისწინებს გამოძიების დაწყებას ყველა იმ პირის მიმართ, ვისაც პატიმრების წინააღმდეგ ჩადენილი აქვს დანაშაული; ვინც აწამა პატიმრები, ვინც იყო ამ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი და ვინც იყო შემსრულებელი. საინტერესო ის არის, რომ ამ სარჩელში პირდაპირ არის დაფიქსირებული სააკაშვილის გვარი. ასევე, დაფიქსირებულია ის მომენტი, რომ სწორედ სააკაშვილი ფლობდა ინფორმაციას, თუ რა ხდებოდა ციხეებში, სწორედ სააკაშვილთან თანხმდებოდა ეს ყველაფერი, რაც კი ვიდეომასალას შეეხება. ასევე, სააკაშვილისაგან მოდიოდა მუქარა ბედუკაძის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც ბედუკაძემ ბრიფინგი ჩაატარა და განაცხადა, რომ იგი ბელგიაში იმყოფება.

— რის საფუძველზე აცხადებთ, რომ ბედუკაძეს ემუქრებოდნენ? მუქარის შემცველი ზარების საფუძველზე?

— რა თქმა უნდა, ეს არის სატელეფონო ზარები. ასევე, ქუჩაში შეხვდნენ მას ქართველები, რომლებმაც ურჩიეს, რომ უნდა გაჩერდეს, ხმა არ ამოიღოს სააკაშვილის წინააღმდეგ, თორემ აკუწავენ. ეს ყველაფერი ასახულია ადვოკატ ამრანის საჩივარში. საინტერესო ის არის, რომ ეს არის უპრეცედენტო სარჩელი, რადგან ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტზეა საუბარი. მოქმედი პრეზიდენტის გვარია ამ საჩივარში დაფიქსირებული. სხვათა შორის, ადვოკატთა ნაწილი, ვისაც ბელგიაში შევხვდით, შიშობდა, რომ, შესაძლებელი იყო, ბელგიის პროკურატურას არ მიეღო ეს საქმე, მაგრამ სწორედაც მიიღო პროკურატურამ ეს სარჩელი და ამიტომაც არის ეს უპრეცედენტო. პირველად ხდება, რომ ადვოკატის საჩივარში საუბარია მოქმედ პრეზიდენტზე, რომელსაც ხელს ადებენ პატიმრების წინააღმდეგ წარმოებულ მთელ პროცესში, ამ სადიზმში, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევაში და, ასევე, კონკრეტულად ბედუკაძის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებში.

— ბაჩო ახალაიას, მურთაზ ზოდელავას და სხვა მაღალჩინოსნების გარდა, ასევე, აქ საუბარია დაბალი რანგის ჩინოვნიკებზე.

— რა თქმა უნდა, სარჩელი ერთობლივად არის აღძრული, დაბალი რანგის ჩინოვნიკებიდან მაღლის ჩათვლით და მაღლიდან დაწყებული, დაბლის ჩათვლით. ეს საჩივარი ყველა იმ დამნაშავე პირზე ვრცელდება, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, ვინც მფარველობდა ამ პროცესს და ვინც იყო შემსრულებელი.

— ბელგიის სასამართლო პროცედურულად როგორ განიხილავს სარჩელებს? სტრასბურგის სასამართლოს მსგავსად, ხანგრძლივვადიანი ხომ არ იქნება ეს პროცედურა? წინასწარ რისი თქმა შეგიძლიათ, რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეთ ამ ადამიანებს?

— წინასწარ არ შემიძლია არანაირი პროგნოზის გაკეთება, თუ რამდენ ხანში შეიძლება, ამ საქმის ირგვლივ გამოძიება დაიწყოს. ჩათვალეთ, რომ გამოძიების დაწყებაზე თანხმობა პროკურატურამ უკვე განაცხადა იმით, რომ სარჩელი მიიღო. ეს მნიშვნელოვანია. დანარჩენს შევხედოთ. როგორც ადვოკატი ამრანი ამბობს, ბოლო დროს ამ ტიპის პროცესები ძალიან დაჩქარებულია. მით უმეტეს, ეს არის ძალიან რეზონანსული საქმე, ყველა ევროსტრუქტურა ფეხზე დგას პირველი პირების დონეზე, და ამიტომ გამორიცხული არ არის, იმაზე უფრო მეტად დაჩქარდეს, ვიდრე ეს გვგონია. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ მერაბიშვილთან დაკავშირებით არის დიდი ეპიზოდი, რომელიც უშუალოდ მე მივეცი ადვოკატს ჩვენების სახით, 2011 წელს ხდებოდა ის დანაშაულობები, რა კადრებიც იქნა გავრცელებული.

— აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სწორედ მერაბიშვილის წყარომ გადმოგცათ ეს ვიდეომასალები. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ინფორმაცია?

— ამის შესახებ მე უკვე განვაცხადე, რომ მე მომიტანეს მერაბიშვილის სახელით, თუმცა ამის მეტი არაფერი ვიცი.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲘᲓ ᲒᲖᲐᲒᲐᲡᲐᲧᲐᲠᲗᲐᲜ

(ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲤᲐᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ დამკვირვებლის ცნობით, ყალბი პირადობის მოწმობა ერთ-ერთ ქალს აღმოაჩნდა. ქალს დაატოვებინეს უბანი და მაშინვე საარჩევნო უბანი კიდევ სამმა პირმა დატოვა. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ალბათ, მათაც ყალბი პირადობის მოწმობები ჰქონდათ.

ასევე, „ქართული ოცნების“ დამკვირვებელი ირაკლი მანჯგალაძე აცხადებს, 313 უბანს არჩევნებამდე ორი დღით ადრე „მიაბეს“ ორი ქუჩა, რომელიც რეალურად ამ უბანს არ ეკუთვნის. დღის განმავლობაში რამდენიმე პირი, რომლებიც ამ ქუჩაზე არიან დარეგისტრირებულნი, ხმის მიცემას ცდილობდნენ. თუმცა, არც ერთი მათგანი უბანში არ დაუშვეს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ 24 ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

„ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ქეთი ჭავჭანიძის განცხადებით, ქუთაისში, თაბუკაშვილის 173-ე ნომერში, კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების 24 ოჯახი სიაში არ აღმოჩნდა. როგორც ჟურნალისტებს ჭავჭანიძემ განუცხადა, აღნიშნულ პირებთან სამი დღით ადრე იმყოფებოდნენ პიროვნებები, რომელთაც ოჯახები აღწერეს.

— მე დამიკავშირდა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებიდან ერთ-ერთი ოჯახის წევრი მიხეილ გერაძე, რომელმაც განაცხადა, რომ საარჩევნო უბანზე მისულებს ხმის მიცემის შესაძლებლობა არ მიეცათ. როგორც გერაძემ ჩემთან საუბარში აღნიშნა, 3 დღით ადრე მათთან იმყოფებოდნენ პიროვნებები, რომელთაც ოჯახები აღწერეს და მიუთითეს, რომ მათ ხმა 93-ე უბანზე უნდა მიეცათ. აღნიშნულ უბანზე მისულებს ხმის მიცემის შესაძლებლობა არ მიეცათ, რის შემდეგაც ისინი ახლომახლო მდებარე ყველა უბანში გადავიდნენ, თუმცა, სიაში არც იქ აღმოჩნდნენ, — განაცხადა ქეთი ჭავჭანიძემ.

მისივე თქმით, ანალოგიური მდგომარეობაა ავტოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში.

ᲤᲝᲗᲨᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲙᲘᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲗᲘᲗᲘᲗᲖᲔ ᲕᲐᲖᲔᲚᲘᲜᲡ ᲣᲡᲕᲐᲛᲓᲜᲔᲜ

ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲡ საარჩევნო შტაბის ცნობით, ფოთის 70-ე საარჩევნო ოლქშის 10:30 საათისთვის სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა. კერძოდ, დარღვევები იყო 22-ე საარჩევნო უბანზე, სადაც რეგისტრირებულია 1367 ამომრჩეველი, უბანზე კი შევიდა მხოლოდ 1250 ბიულეტენი. კომისიის თავმჯდომარე ხელს უშლიდა ვიდეოგადაღებას და გარეთ გაგდებით ემუქრებოდა. კომისიის თავმჯდომარე უმტკიცებდა ოპერატორს, რომ მას მხოლოდ ბიულეტენის ურნაში ჩაგდების გადაღების უფლება აქვს და არ აქვს უფლება, ამომრჩევლის სახე გადაიღოს.

29-ე საარჩევნო უბანზე სამარშრუტო ტაქსით მიიყვანეს ამომრჩევლები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა საარჩევნო ატრიბუტიკით, რაც ვიდეოფირზე იქნა გადაღებული. დამკვირვებლებმა დააფიქსირეს სამარშრუტო ტაქსის ნომერიც.

დარღვევებით მიმდინარეობს არჩევნების პროცესი მე-15 საარჩევნო უბანზეც. კოალიცია „ქართული ოცნების“ დამკვირვებლების ინფორმაციით, მარკირებამდე ამომრჩეველს „ვაზელინს“ უსმევენ თითზე, რის შედეგადაც მარკირების გავლის შემდეგ ამომრჩეველს მარკირების სითხე იოლად ეცლება. ეს კი, თავის მხრივ, ნაციონალურ მოძრაობას ხელს უწყობს ე.წ. კარუსელების დატრიალებაში. ამ დარღვევასთან დაკავშირებით კოალიცია „ქართული ოცნების“ კომისიის წევრმა საჩივარი დაწერა.

მე-7 უბანზე დაფიქსირდა, რომ საარჩევნო ბიულეტენში, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს შორის არ იყო დაფიქსირებული ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“. აღნიშნული დარღვევა კოალიციის დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს და დროული რეაგირების შედეგად ეს პრობლემა მოგვარდა.

11:30 საათისთვის 32-ე უბანზე შეჩერდა კენჭისყრა. მიზეზი — მარკირების პრობლემა. კოალიცია „ქართული ოცნების“ კომისიის წევრის ინფორმაციით, მარკირების სითხე უვარგისია. კენჭისყრა გაგრძელდება მარკირების სითხის შეცვლის შემდეგ. როგორც 32-ე უბანზე მყოფი დამკვირვებლები იტყობინებიან, უხარისხო მარკირების სითხე იოლად სცილდება, რაც ამომრჩეველს შესაძლებლობას აძლევს, ე.წ. კარუსელის შემთხვევაში ხელახლა მისცეს ხმა სასურველ პოლიტიკურ ძალას.

ᲗᲐᲕᲯᲐᲡᲮᲛᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲖᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ, 316-Ე ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ თავმჯდომარემ თეა ჯგერენაია-დარბაიძემ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო უბანი დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში რუსთავის 320-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სოსო შველიძემ განაცხადა, დილით თეა ჯგერენაია-დარბაიძეს სადარბაზოსთან უცნობი პირი დახვდა და მუცელში წიხლი ჩაარტყა. ჯგერენაია-დარბაიძე დილით მივიდა უბანზე, თუმცა მოგვიანებით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს და მან უბანი დატოვა. კომისიის თავმჯდომარემ შესაბამისი შინაარსის განცხადებით უკვე მიმართა რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნულ უბანზე ამ ფაქტს რაიმე შეფერხებები არ გამოუწვევია. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲚᲐᲡ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲐ

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ საარჩევნო უბანზე რამდენიმე მაჟორიტარობის კანდიდატი კანონის დარღვევით შესვლას შეეცადა, — ამის შესახებ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ ბრიფინგზე უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენელმა თამარ კინწურაშვილმა განაცხადა.

მისი ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი კახა კალაძე შეეცადა საარჩევნო უბანში შესვლას, ხოლო კიდევ ერთი მაჟორიტარობის კანდიდატი თეა წულუკიანი იმყოფებოდა საარჩევნო უბანზე. თუმცა, როგორც კინწურაშვილმა აღნიშნა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ქმედება კანდიდატებს კანონმდებლობით შეზღუდული აქვთ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან შესაბამისი რეაგირების შემდეგ აღმოიფხვრა. ამასთან, მისი თქმით უბანზე შევიდა ბეჟან გუნავაც, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მის შემთხვევაშიც იგივე რეაგირება მოახდინა.

მისი თქმით, დარღვევა დაფიქსირდა საჩხერეში. კერძოდ საჩხერეში მოხდა გაურკვეველი უბნების ბეჭდების აღრევა და ეს პრობლემა ამ დროისთვის მოგვარებულია. ამასთანავე, თამარ კინწურაშვილის განცხადებით, გავრცელდა ინფორმაცია დამკვირვებლებთან დაკავშირებითაც, თითქოს მათ არ ეძლეოდათ საარჩევნო პროცესზე დაკვირვების უფლება, თუმცა, კინწურაშვილის თქმით, ეს ინფორმაცია არ დასტურდება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით ის დამკვირვებლები, რომლებიც დარეგისტრირებულები არიან, სრული შემადგენლობით აკვირდებიან საარჩევნო პროცესს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ ტრაგედია გურჯაანში

ვინ მოკლა 9 თვის გოგონა?

წინასაარჩევნო ციებ-ცხელებას ერთი შემზარავი ფაქტი დაემატა – **გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში 9 თვის ბარბარე რაფალიანცი ქვევრში ჩაგდებული იპოვეს, რომელსაც ქვის ხუფი ჰქონდა დაფარებული. არსებული ინფორმაციით, ბავშვს პირველ სართულზე ეძინა, მშობლები, ნათესავებთან ერთად, მეორე სართულზე იმყოფებოდნენ. 9 თვის ბარბარე გურჯაანის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ პატარა უკვე გაგუდული იყო.**

მეზობლები აცხადებენ, რომ ბარბარეს დედამ აჭამა, რის შემდეგაც ოთახში დასაძინებლად დატოვა, თავად კი ოჯახის წევრებს ვახშამზე შეუერთდა. მოგვიანებით ბავშვი მოიკითხეს, თუმცა ის ოთახში აღარ იყო.

ჩვილის დედა და დეიდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან, მეზობლების ინფორმაციით, მოკლული ჩვილის დეიდა ერთ-ერთ უბანზე კოალიციის მხრიდან არჩევნებს უნდა დაკვირვებოდა.

საძინებელ ოთახს, საიდანაც გოგონა გაუჩინარდა, ერთი შესასვლელი კარი და ფანჯარა აქვს ეზოს მხრიდან. ოჯახის წევრების მტკიცებით, ბავშვი ფანჯრიდან გაიყვანეს, რადგან კარიდან რომ შესულიყვნენ, აივნიდან დაინახავდნენ, – იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი, – მას შემდეგ, რაც სოფლის მოსახლეობამ და საპატრულო პოლიციამ ბავშვის ძებნა დაიწყო, დაიძახეს, რომ ბავშვი ქვევრში იყო ჩავარდნილი, ოღონდ ვინ დაიძახა, ჯერჯერობით უცნობია. არის ვერსია: გამმტაცებელი მარანში იმალებოდა, რომელსაც შესასვლელი იმ ოთახიდან აქვს, სადაც ბავშვს ეძინა და ძებნის გამოცხადების შემდეგ ბავშვის მოშორება გადაწყვიტა და ხალხს შეერია. ეზოში უამრავი ადამიანი ირეოდა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრების მტკიცებით, მომხდარი პოლიტიკური ნიშნით შურისძიებას უკავშირდება. **„ბავშვის დეიდა „ქართული ოცნების“ კოორდინატორია სოფელში. აქამდეც იყო მუქარები და აჰა, შეგვისრულეს. რას ერჩოდნენ 9 თვის ბავშვს, ეს სადისტები“,** – აცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები.

სოფელ კოლაგის მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად გზის გადაკეტვა სცადა, თუმცა, საპატრულო პოლიციამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

იმ ღამესვე „ქართული ოცნებიდან“ გურჯაანში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მანანა ბერიკაშვილმა – კოლაგში გოგონას გარდაცვალების შემდეგ, – გიორგი ღვინიაშვილის დაპატიმრება ითხოვა, რომელიც კენჭს „ნაციონალური მოძრაობიდან“ გურჯაანის რაიონში იყრის. თავის მხრივ გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა, რომ მანანა ბერიკაშვილი ცრუ დასმენისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მისაცემი.

გუშინ „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კომენტარი გააკეთა მანანა ბერიკაშვილზე. **„ძალიან ცუდ დღეშია მანანა ბერიკაშვილი, რამდენჯერმე მეც დამიკავშირდა. დღეს ხელისუფლება ახერხებს, რომ პატარა ბავშვის ცხედარი არ გასცეს და მამას არ მისცეს ადვოკატები. 2 ადვოკატია უკვე ნაცემი და იქ საშინელი მდგომარეობაა“,** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



ცნობისათვის: არჩევნების წინა დღეს, კახეთში სოფელ კოლაგში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მანანა ბერიკაშვილის ბიძაშვილის სახლში უცნობმა პირმა ასაფეთქებელი ნივთიერება, ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილი“ შეაგდო, რომლის შედეგად არავინ დაშავებულა. მიმდინარეობს გამოძიება.

მანანა ბერიკაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ კოლაგში მომხდარი ტრაგედიის გამო იგი თავს ცუდად გრძნობს, შეუძლოდაა და შინაა. ჯერ არ წასულა არჩევნებზე. **„ძალიან ცუდად ვარ, სწოლში ვწევარ და კოლაგში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გურჯაანიდან არც კი გავსულვარ. ბიძინა ივანიშვილთანაც არანაირი დახურული თათბირი არ ყოფილა“,** – განაცხადა ბერიკაშვილმა.

„უაღრესად შემძრა ამ საზარელმა დანაშაულმა. ვუსამძიმრებ ბარბარე რაფალიანცის ოჯახს. ამ სასტიკი დანაშაულის ჩამდენი, წამახალისებელი და დამკვეთი ყველა პირი, უმკაცრესად აგებს პასუხს სასამართლოს წინაშე. ამ დროს ძალიან რთულია შეიკავო ემოცია და მოქალაქეებს, ჩვენს მომხრეებს სიმშვიდისკენ მოვუწოდო, მაგრამ ჩვენ ამასაც უნდა გავუძლოთ და დამნაშავეებს პასუხი კანონის ძალით ვაგებინოთ“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მესმის, რომ საშინელი და შემზარავი ფაქტია 9 თვის ბავშვის მკვლელობა, მაგრამ ძალიან ვთხოვ ყველას: ნუ აცხადებენ ასე უაპელაციოდ ამას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად, ამის შესახებ, „ქართული ოცნების“ წევრმა დავით ზურაბიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განაცხადა.

მისი თქმით, ასეთი რამის დაბრალება ადამიანისათვის არანაკლები ცოდვაა.

„მე მგონია ასეთი რამის დაბრალება ადამიანისთვის არანაკლები ცოდვაა, ვიდრე ასეთი რამის ჩადენა. ჯერ კარგად გაირკვეს, რა მოხდა და როგორ მოხდა და დასკვნები მერე გავაკეთოთ, თორემ ვიღაცები უკვე პირდაპირ ადებენ ხელს ნაცმოძრაობას, გიგა ნასარიძე კი იძახის „ოცნების“ დაგეგმილი პროვოკაცია იყოო! გასაგებია რომ დაძაბულები ვართ და ნევროზული ატმოსფერო, მაგრამ ცოტა საღ აზრსაც მოვუხმოთ!“,– აცხადებს ზურაბიშვილი.

იმ ღამესვე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი მანანა ბერიკაშვილი ამ ფაქტთან დაკავშირებით აკეთებს პოლიტიკურ განცხადებას. სამწუხაროა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ასეთი სენსიტიური, ტრაგიკული შემთხვევა გახდა პოლიტიკური სპეკულაციების თემა.

ხოლო ჩიორა თაქთაქიშვილმა ემოციურად იკითხა: ვეკითხები მანანა ბერიკაშვილს და მის ტელევიზიას, რომელ ავადმყოფურ გონებაში შეიძლება მოეძებნათ ამ ყველაფრისთვის პოლიტიკური სარჩული?

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გოკა გაბაშვილის განცხადებით, ასეთი ბოროტება, ჩვილი ბავშვების მკვლელობა რომ ადამიანს დააბრალო, გაუგონარია. ამის შესახებ გოკა გაბაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში განაცხადა.

„პირდაპირ მინდა ვუთხრა, პოლიტიკოსებს, ვინც იქ არიან, ეს არის გაუგონარი უსინდისობა. მინდა გკითხოთ ჟურნალისტებს, რომლებიც ასეთი თემებით მანიპულირებთ, ასეთი ბოროტება, რომ ადამიანებს ჩვილი ბავშვის მკვლელობა დააბრალო სადეპუტატო მანდატად ღირს? ან მთელი პოლიტიკა რად ღირს? რეებს კადრულობთ, რეებს აკეთებთ, გულში რა გიდევთ, რა მეთოდებით იბრძვით? რაზე აშენებთ თქვენს პოლიტიკურ კაპიტალს? ნამუსი არ აქვს ან იმ ბერიკაშვილს ან იმ ალასანიას“? – განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

მაია ფანჯიკიძე გურჯაანში მომხდარ ტრაგიკულ ფაქტს საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა. აღნიშნა, რომ დალი მექერიშვილზე ხორციელდებოდა გარკვეული ზეწოლა. კოალიცია „ქართული ოცნება“ გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში დატრიალებული ტრაგედიის ფონზე, მოქალაქეებს სთხოვს, გამოიჩინონ კეთილგონიერება და თავი შეიკავონ ყოველგვარი ანგარიშსწორებისაგან.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, გარდაცვლილი ბავშვის მამა პავლე რაფალიანცი ამბობს, რომ მის ოჯახს არ ჰქონია რაიმე კავშირი პოლიტიკასთან, აქედან გამომდინარე, მას მომხდარზე რაიმე პოლიტიკური შეფასების გაკეთება უჭირს.

ამასთან, 9 თვის ბავშვის დეიდა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი კოორდინატორი დალი მექერიშვილი ამბობს, რომ გურჯაანში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ღვინიაშვილის ახლო ნათესავი გიორგი მექერიშვილი ემუქრებოდა.

„ინტერპრესნიუსს“ დალი მექერიშვილმა განუცხადა, გიორგი მექერიშვილი გიორგი ღვინიაშვილის ბიძაშვილის შვილია და თბილისში, სავარაუდოდ, ერთ-ერთ ძალოვან სტრუქტურაში მუშაობს. მისივე ინფორმაციით, სწორედ გიორგი მექერიშვილი მოუწოდებდა მათ „ქართული ოცნების“ დატოვებისკენ, ემუქრებოდა და კოალიციიდან წასვლის სანაცვლოდ თანხას სთავაზობდა.

„მე ბავშვის გარდაცვალებაში უშუალოდ მექერიშვილს ვერ დავადანაშაულებ, რადგან ეს გამოძიების საქმეა, თუმცა, სწორედ ის იმუქრებოდა, თანხას მთავაზობდა და „ნაციონალების“ სასარგებლოდ 10 ხმას მთხოვდა“, – აღნიშნა დალი მექერიშვილმა.

„მე მტრები არ მყოლია და ჩემი შვილი გიორგი ღვინიაშვილის ბიძაშვილების მუქარის შემდეგ მოკლეს“, – განაცხადა 9 თვის ბავშვის დედამ თათია მექერიშვილმა.

თათია მექერიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ იმ ადამიანების გვარებიც დაუსახელა, რომლებიც, მისივე თქმით, ტრაგედიის დღეს იმუქრებოდნენ. მისი ინფორმაციით, ესენი არიან ძმები ილია და გიორგი მექერიშვილები, ასევე, ზურა მექერიშვილი, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან.

„სანამ შვილი მომიკვდებოდა, ილია, გიორგი და ზურა მალაზიასთან შემთხვევით ვნახე. გავიგე, როგორ იმუქრებოდნენ ისინი, ამბობდნენ, ვილაცას ბომბი უკვე შევუგდეთ და ახლა გზის ქვევიდან ვინც ცხოვრობს, ნახავენ, ამაღამ რა დღე დაადგებათო. სწორედ იმ საღამოს მომიკლეს შვილი. მე სხვა მტერი არ მყოლია და არც ვიცი, სხვა რა ვიფიქრო. მე მათი გვარები პოლიციასთანაც დავასახელე, თუმცა, ამ დრომდე არც ერთი მათგანი არ დაუკითხავთ“, – განაცხადა თათია მექერიშვილმა.

ნატა ნიბლაძე

◎ არჩევნების წინ

დაპირისპირებულთა მარში

(მესამე გვერდიდან)

„ძალიან მაწუხებს ის ამბავი, ხელისუფლება რომ აცხადებს, თითქოს, ის იგებს არჩევნებს, როდესაც ამბობს, რომ მხარდაჭერა მათ მხარესაა. ასე რომ ამბობენ და საქმე საწინააღმდეგოდაა, ეს იწვევს ცუდი ამბების მოლოდინს, როგორ ჩატარდება არჩევნები, როგორ იქნება შედეგები გამოცხადებული და ამის შემდეგ რა მოხდება. ყველაზე ცუდი სამოქალაქო დაპირისპირებაა, იმდენად არის პოლარიზებული და ერთმანეთთან დაპირისპირებული ეს ორი მხარე.

თბილისში განწყობა ოპოზიციის სასარგებლოდ იყო, ასეთივე განწყობა დაფიქსირდა ქუთაისშიც, მაგრამ არის რაიონები, სადაც არ მიიღება კრიტიკულად განწყობილი სატელევიზიო არხები და ხალხი მხოლოდ ნაციონალური არხების მიწვდილ ინფორმაციას ისმენს. ეს რაიონებია პრობლემა, რადგან ობიექტური ინფორმაცია არ აქვთ“, – ამბობს გოგი ხუციშვილი.

მისივე შეფასებით, თუ გაყალბება აქვს ჩაფიქრებული ხელისუფლებას, ისედაც გააყალბებს, **„მაგრამ წელს ძალზე ბევრი დამკვირვებელია და ასეთი დაძაბული სიტუაცია არჩევნებთან დაკავშირებით ჯერ საქართველოში არ ყოფილა. ასეთ პირობებში ძალიან დიდი რისკია არჩევნების გაყალბება, ამას შეიძლება ხალხის აფეთქება მოჰყვეს“,** – ამბობს ხუციშვილი.

პოლიტოლოგი ზურაბ აბაშიძე კი ფიქრობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ქვეყანა ნორმალურად განვითარების შანსს არ დაკარგავს.

„ოპოზიცია ამბობს დარწმუნებით, რომ არჩევნების გაყალბება შეუძლებელია, ამბობენ, რომ კონტროლის ისეთი მექანიზმები და სისტემები აქვთ შემუშავებული, რომ ვერ შეძლებენ, გააყალბონ. ამდენი დამკვირვებელია, დაახლოებით 2000 უცხოელი. მე მათ ვუსმენ და ისინი ამბობენ, რომ გაყალბება გამორიცხულია, ამბობენ, რომ ამისი შესაძლებლობა ტექნიკურად არ არის“, – ამბობს ზურაბ აბაშიძე.

ამის მიუხედავად ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გააფრთხილა ხელისუფლება:

„ვაფრთხილებ ყველას, არავინ გაბედოს ხალხის მოთმინების გამოცდა, არაფერი შეგეშალოთ, შეთითხნილი ტყუილებით ხალხის დათრგუნვა აღარ გამოგივათ“, – განაცხადა ივანიშვილმა თავისუფლების მოედანზე მიმდინარე აქციაზე.

ზურაბ აბაშიძე თვლის, რომ ყველა გონიერებას გამოიჩენს და საარჩევნო პროცესი მშვიდობიანად დასრულდება.

„მგონია, რომ მაინც ნორმალურად ჩაივლის ყველაფერი, არაერთხელ მითქვამს, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ რევოლუციური ცვლილებების, ყოველი რევოლუცია საბოლოო ჯამში არის რეგრესი, ვინც ისტორიას სწავლობს, ჩახედულია წარსულში, იცის რა ხდებოდა – ყოველთვის ასე იყო, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მიდიოდნენ წინ, გაცილებით წინ არიან წასული, ვიდრე ის ქვეყნები, სადაც რევოლუციები და ქარტეხილები ხდებოდა. ჩვენც ყოველგვარი რევოლუციებისა და ცხვირპირის მტვრევის გარეშე უნდა გავაგრძელოთ, საკმარისია ის, რაც ვიხილეთ წინასაარჩევნოდ. ამდენი უმსგავსობა, ბრალდებები, სიძულვიული და ა.შ. ბოლოს და ბოლოს უნდა დასრულდეს და წერტილი დაესვას“, – მიიჩნევს აბაშიძე.

რაც შეეხება ინფორმაციას „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმების შესახებ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ ცუდი გამოცდილების მიუხედავად კარგის იმედი უნდა დავიტოვოთ.

„არ უთქვამს ბატონ სულხანს, ვინ ჩასჩურჩულა ეს ამბავი, არ დაუსახელებია. საქართველოშიც უამრავი ხალხი ვართ, ამდენი დელეგაციაა. ასე რომ მოხდება, ეს ერთმა ადამიანმა იცის მარტო? – ეს ძნელი წარმოსადგენია.

ალბათ, იმიტომაც ვართ აფორიაქებულები, რომ გამოცდილება გვაქვს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რადგან, როგორც იქნა, ხალხმა ირწმუნა არჩევნების.

ორი წლის წინ ეს არ იყო და ოპოზიციის დიდი ნაწილი ხალხს არწმუნებდა, რომ არჩევნები სისულელეა და არჩევნებით არაფერი არ მოხდება. საბოლოოდ, ხალხი შემოტრიალდა არჩევნებისკენ და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს“, – აცხადებს ზურაბ აბაშიძე.

თუმცა, ისიც აშკარაა, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების გადაბარებაზე დღევანდელი მმართველი პარტიის ლიდერი ნაკლებად ფიქრობს და როგორც ის აცხადებს **„ვერანაირი ფული, შანტაჟი და ემოციებზე თამაში ვერ აგვაღებინებს ხელს უფლებაზე, გადავარჩინოთ საქართველო და მყარად დავაყენოთ ფეხზე“.**

ამის პარალელურად ხალხს სთხოვს, ქვეყნის განვითარების საშუალება მისცეს და კვლავ ნატოსა და ევროკავშირზე ესაუბრება. თუმცა, ნიშნავს თუ არა ხალხის აზრი და ნება საკაშვილისთვის რამეს, ამას მხოლოდ არჩევნების შემდეგ ვიხილავთ.

მარიამ თოდაძე

◎ სიმართლე კი ასეთია!

ეგრე არ არის, თაყაო (სააკაშვილო)...

ანუ პრეზიდენტის მტკიცების საწინააღმდეგოდ რატომ დაკარგა საქართველომ ლიდერობა კავკასიაში?



„ახალმა ეკონომიკურმა სკოლამ“ მორიგი კვლევის — „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში“ — პრეზენტაცია გამართა. წარდგენას ესწრებოდა პოლონელი მკვლევარი, პროფესორი ენდრიუ კონდრატოვიჩი, რომელიც ანალოგიურ თემაზე მუშაობს უნგრეთში და ახალი ეკონომიკური სკოლის პარტნიორია ამ საკითხებში. რომელი ადგილი ერგო საქართველოს, შედის თუ არა იგი თავისუფალი ქვეყნების რიცხვში, როგორ აისახება ეს ინდექსი თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე და რა როლს უნდა ასრულებდეს სახელმწიფო? — ამ თემებზე ახალი ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი პაატა შეშელიძე გვესაუბრება.

— ბატონო პაატა, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თავისუფლების კუთხით საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა, როგორც ამას ჩვენი პრეზიდენტი გვეუბნება ხოლმე?

— მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2010 წლის მონაცემებით გაუარესებულია — 27-დან 42 ადგილზეა ჩამოქვეითებული, **ამისი მიზეზია სახელმწიფოს გაზრდილი ხარჯები და სახელმწიფო საკუთრების გაფართოება.**

მნიშვნელოვანი კომპონენტია **მონეტარულ ნაწილში ინფლაცია და რეგულირების გართულება ხელისუფლების მიერ.** საგარეო ვაჭრობის მიმართულებითაც არის გაუარესება, რადგან უკვე ამოქმედდა გაზრდილი ტარიფი (5%-დან 12%-მდე გაიზარდა) გარკვეული საბის პროდუქციაზე.

შემდეგია სასამართლოს დამოუკიდებლობა და საკუთრების ხელშეუხებლობა, აქ შედარებით გაუმჯობესებული მდგომარეობაა, რადგან საკუთრების რეგისტრაციის მოწესრიგებამ თავისი პლუსები შესძინა, მაგრამ ჯამური ინდექსი მაინც დაბალია.

ბოლო კომპონენტია საერთო რეგულირებები, ამაში შედის შრომითი რეგულირებები, აქაც გაუარესება გვაქვს, იმიტომ, რომ ზოგიერთ საკითხში გასათვალისწინებელი იყო ევროკავშირის მოთხოვნები შრომის კოდექსთან და სხვა კანონებთან მიმართებაში, საქართველომ ეს არ შეასრულა და აქაც უკუსვლა გვაქვს.

საბოლოოდ, საქართველომ დაკარგა ლიდერობა კავკასიაში, სომხეთი შედარებით მაღალ ადგილზე დგას, იმ მიზეზით, რომ აქ სახელმწიფო ხარჯები მაღალი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვია, სომხეთშიც და საქართველოშიც არის ძალიან ბევრი ფარული ქვედინებები. 2010 წლის მონაცემებით, სომხეთს ეკონომიკური თავისუფლების უფრო მეტი შანსები აქვს ვიდრე საქართველოს.

— რაც შეეხება შემდგომ წლებს?

— 2011-2012 წლები არ არის შესწავლილი, თუმცა, სავარაუდოდ, ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო გაუარესება იქნება.

— მდგომარეობის გაუარესება რომელი წლიდან შეიმჩნევა და რამ გამოიწვია?

— ეს ტენდენცია იწყება 2008 წლის შემდეგ, როდესაც სახელმწიფო აფართოებს თავის ჩარევას. ასევე უთმობს ევროკავშირს და შემოაქვს ახალი რეგულირებები. ძირითადად, ეს ორი კომპონენტია, რომელიც გაუარესებას იწვევს ერთობლიობაში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გაუარესება ხდება სახელმწიფო წილის გაფართოების შემთხვევაში, პრივატიზების კუთხით.

როდესაც ქვეყანას აქვს ეკონომიკური თავისუფლების დაბალი მაჩვენებელი, ასეთ შემთხვევაში ინვესტირება საიდან ხდება, სავარაუდოდ, ინვესტორებისთვის მომხიბლავი არ უნდა იყოს...

— კონკრეტული გამონაკლისები არსებობს, იგივე აზერბაიჯანი, სადაც კონკრეტულ დარგში შემოდის ინვესტიციები, მაგრამ ნაკლებად მგონია, რომ ეს თითოეული აზერბაიჯანელის კეთილდღეობაზე აისახებოდეს.

— ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნებში

ეკონომიკური კეთილდღეობა უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ სხვა ქვეყნებში. შანსები, რომ დამოუკიდებლად შექმნა ბიზნესი, აწარმოო და საკუთარი კეთილდღეობა გაიუმჯობესო, ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებში უფრო მეტია ვიდრე არათავისუფალში, სადაც ადამიანების საქმიანობა კონტროლდება სახელმწიფოს მიერ, სადაც მაღალი რეგულირება და მაღალი გადასახადებია. ეს ხდება სახელმწიფოს დიდი დოზით ჩარევით, რასაც ახლა, სხვათა შორის, გვპირდება ყველა პარტია.

— თუ ნახეთ მათი ეკონომიკური პროგრამები, ძირითადი გზავნილებიდანაც საკმაოდ უცნაური ტენდენციები იკვეთება...

— ყველა გვპირდება, რომ დახარჯავს ბევრ საბიუჯეტო რესურსს იმისთვის, რომ რაღაც წინ წაიყვანონ და იმაზე პასუხი არ აქვთ, საიდან უნდა მოიტანონ ეს ფული. ბიუჯეტი მეწარმეების მიერ გადახდილი ფულით ივსება და როგორ იმუშავებენ ისინი, რაც მეტს წაართმევ და მეტად დაბეგრავ?

— თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე ყველა პარტია ლაპარაკობს...

— მერე რა, რომ ლაპარაკობს, გააჩნია რას ლაპარაკობენ, მდიდარს წაართვი და სხვას მიეცით?

— ამას ლეიბორისტები ამბობენ...

— ყველას დაახლოებით ერთნაირი პროგრამა აქვს, ლეიბორისტები უფრო ხისტად ლაპარაკობენ, დანარჩენები უფრო აკადემიურად და ბრიყვულად. როდესაც ამბობენ, რომ პროგრესულ გადასახადს შემოიღებენ, გამოდის, რომ წარმატებულს ჩაგრავენ იმისთვის, რომ წარმატებულია, იმისათვის მბეგრავ უფრო მეტად, რომ უფრო შემოქმედებითად ვუდგები საქმეს ან უფრო მეტ ადამიანს მოვემსახურე? — ამას „ქრისტიან-დემოკრატები“ გვპირდებიან.

ვანო მერაბიშვილს აქვს კიდევ საინტერესო გამოსვლები, რომ ბაზარი აღარ მუშაობს, ადრე სწამდა და ახლა აღარ სწამს ამისი და თურმე სახელმწიფომ უნდა აიღოს ეს ყველაფერი თავის თავზე. ამას ხომ ლაპარაკობს, ჭორი ხომ არ არის, ინტერვიუებში ხომ ამბობს ამას?! გვპირდება, რომ ახალ საწარმოებს შექმნის და უფრო ბევრ ფულს დახარჯავს, რომ იქმნება პროექტები, რომელიც ადამიანებს მუქთად სწავლას, ჯანდაცვას და საპენსიო უზრუნველყოფას ჰპირდება. ეს ხომ ტექნიკურად შეუძლებელია, ამისი გაკეთების მცდელობა კი რესურსების გაფლანგვაა და მივდივართ ისევ უკან.

ამ ინდექსის კვლევა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ განსაზღვრო, რა მოგივა, როდესაც აკეთებ იმას, რაც არ არის საჭირო. თუ სხვა ქვეყნებში არ ამართლებს ეს პოლიტიკა, აქ რანაირად გაამართლებს, მით უმეტეს, რომ უკვე გამოცდილები ვართ და ვიცით, რომ არ ამართლებს.

— ახლა ყველა პოლიტიკაზეა გადართული და ეკონომიკაზე ნაკლებად ფიქრობენ, ალბათ, ძირითადად ამომრჩევლის მოსაზიდად ლაპარაკობენ...

— როგორ არ ფიქრობენ! როდესაც ამბობენ, რომ უნდა დახარჯონ რაღაცა, გამოდის რომ მან, მისმა მეგობრებმა, პარტიულმა თანამოაზრეებმა, პოტენციურმა დონორებმა უნდა მიიღონ ის ფული, რომელსაც შემდეგ ესენი დახარჯავენ.

ძალიანაც კარგად ფიქრობენ, ხალხის გაბაიბურებას ცდილობენ, ამიტომ, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, არ გავაბაიბურებინოთ თავი. თუ ეს ფული ჩვენია, მაშინ დაგვიტოვონ და დაგვანებონ თავი. თუ რამე უფასოა, მაშინ გადასახადს რატომ ვიხდით და თუ ვიხდით, გამოდის, რომ ჩვენ ვიხდით იმ ვალდებულებების ფულს, რასაც ისინი გვპირდებიან. ჩვენი ფული იმიტომ უნდა მივცეთ ვიღაცას, რომ ჩვენვე გაგვიკეთოს რამე? ამიტომ ვამბობ, რომ უფრო მომთხოვნები უნდა ვიყოთ.

— ყველა პარტია გვპირდება, რომ შემოიტანს დიდი ოდენობის ინვესტიციას, რომელიც ბოლოს და ბოლოს თითოეული ქართველის კეთილდღეობაზე აისახება, როდესაც ასეთი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსია, ვინმეს მოუნდება ამ ქვეყანაში ფულის შემოტანა და ბიზნესის კეთება, სამუშაო ადგილების შექმნა?

— პარტიების ამოცანა არ არის ინვესტიციების შემოტანა, მათი ამოცანა საკუთრებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიის შექმნაა. თუ ეს იქნება ხელშეუხებელი, კერძო პირები შემოიყვანენ ინვესტორებსაც და მოიზიდავენ თანხებსაც.

ეს დანაწილება გულისხმობს იმას, რომ კერძო მეწარმემ უნდა შექმნას დოვლათი, მოიზიდოს ინვესტორი და გაყიდოს თავისი პროდუქცია, მაშინ, როდესაც მთავრობამ და ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ის.

როდესაც მთავრობა ერევა მის საქმეში, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში რეალურად საქმე ვერ გაკეთდება, თუ ის პოლიტიკურ ინტერესებს არ მოერგო. ამდენად, ჩვენ ვიღებთ არა თავისუფალ, არამედ პოლიტიკურად მორჩილ ბაზარს, რაც დღესაც გვაქვს საქართველოში და ეს ცუდია.

დიდი ფულის მქონე და სერიოზული ინვესტორი ასეთ ქვეყანაში არ შემოვა საკუთარი ნებით და ფაქტია, რომ არც შემოდიან.

მარიამ თოდაძე

◎ უძრავი ქონების ბაზარი

გაძვირდება თუ გაიაფდება?

სამშენებლო ბიზნესი არჩევნების გადაგორების იმედით სულდგმულობს

უძრავი ქონების ბიზნესს არჩევნების უშფოთველად ჩათავების ეიმედება. თუკი ასე მოხდა დეველოპერები და ექსპერტები ნაარჩევნებს სამშენებლო ბაზარზე ფასების ზრდას პროგნოზირებენ.

როგორც „არსის“ გენერალური დირექტორი თორნიკე აბულაძე აცხადებს, ამჟამად უძრავი ქონების ბაზარზე ტრანზაქციები შეჩერებულია, ყველა არჩევნების შედეგებს ელოდება. აბულაძე განმარტავს, რომ სანამ სიტუაცია გაურკვეველია, სამშენებლო ბაზარზე სტაგნაცია იქნება. დეველოპერი ფასების ზრდის კონკრეტულ პროცენტს ვერ ასახელებს და აცხადებს, რომ უძრავი ქონება არჩევნებიდან ერთ კვირაში არ გაძვირდება. მისი აზრით, ფასები დაახლოებით 3-4 თვის განმავლობაში ეტაპობრივად გაიზრდება.

უძრავი ქონების ექსპერტები კი აღნიშნავენ, რომ ფასების ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება, თუმცა, ზრდის კონკრეტულ მაჩვენებელს ვერ ასახელებენ. მათივე განმარტებით, სწორედ არჩევნების შემდეგ, დედაქალაქის გარდა უძრავი ქონების ბიზნესი საქართველოს კიდევ რამდენიმე ქალაქში გააქტიურდება, მათ შორის, ბათუმში.

უახლოეს პერიოდში პარლამენტის გადატანის გამო, მნიშვნელოვნად გამოცოცხლდება უძრავი ქონების ბაზარი ქუთაისში. ეს კი, ექსპერტთა ვარაუდით, ფასების ზრდას გამოიწვევს.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2012 წლის აგვისტოს თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების ზრდა დაფიქსირდა, თუმცა, დეველოპერების განმარტებით, ეს ნაწილობრივ საცხოვრებელი ბინების განვადებით შეძენას უკავშირდება, ნაწილობრივ კი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების უსასყიდლო რეგისტრაციის პოლიტიკამ განაპირობა.

ეს ყველაფერი მომავლის პროგნოზებია და უფრო უძრავი სფეროს ბიზნესით დაკავებული ადამიანების სურვილია, ვიდრე რეალობა. სინამდვილეში კი წინასაარჩევნოდ უძრავი ქონების ბაზარზე ვითარება საგანგაშოა. მოთხოვნა განახევრებულია და არც მყიდველი ჩანს და არც გამყიდველი. ყველა ელოდება როდის და როგორ დასრულდება არჩევნები.

უძრავ ქონებაზე მოთხოვნის განახევრებაზე საუბრობენ უძრავი ქონების სააგენტო „ბერუკაში“. გაყიდვების მენეჯერის დავით ბერელიძის განმარტებით, გაყიდვების რაოდენობა 50-60 პროცენტითაა შემცირებული.

„არჩევნებმა ძალიან დიდი გავლენა იქონია უძრავი ქონების ბაზარზე. გაყიდვების რაოდენობა 50-60 პროცენტითაა შემცირებული. მოთხოვნა თითქმის აღარაა. რაც შეეხება ფასებს, ამ თვალსაზრისით ბაზარზე ვითარება არ შეცვლილა, არც შემცირებულია და არც გაზრდილი. საერთოდ, პოლიტიკური პროცესები ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამიტომ სწორედ არჩევნების შემდეგ გამოჩნდება უძრავი ქონების ბაზარზე როგორ განვითარდება მოვლენები, კარგად თუ ცუდად“, — ამბობს დავით ბერელიძე.

უძრავი ქონების ბაზარზე არჩევნების გავლენაზე მიუთითებს დარგის სპეციალისტი გიორგი ბარვენაშვილი. მისი თქმით, მოსახლეობაც და სამშენებლო კომპანიებიც მოლოდინის რეჟიმში არიან.

„არჩევნები უძრავი ქონების ბაზარზე დიდ გავლენას ახდენს. მაგალითად, ბოლო თვენახევრის პერიოდში უძრავი ქონების გაყიდვები და ტრანზაქციები თითქმის გაჩერებულია. ხალხს მოლოდინი აქვს ფასების შემცირების ან გაზრდის, ამიტომ მყიდველი ფიქრობს, რომ ბინას უფრო დაბალ ფასში იყიდის, გამყიდველი კი, პირიქით, ცდილობს, ძვირად გაყიდოს. აქედან გამომდინარე, საარჩევნოდ ტრანზაქციების რაოდენობა ძალიან შემცირდა, დაახლოებით, 30 პროცენტით“, — ამბობს გიორგი ბარვენაშვილი და იქვე დასძენს, რომ მოთხოვნის შემცირებას უძრავი ქონების ფასზე გავლენა არ მოუხდენია და ბოლო დროს სტაბილურად შენარჩუნებულია.

ეკა ბაძრაძე

◎ აქტუალური ინტერვიუ

როგორ მიმდინარეობდა სახელმწიფო აპარატის „გადატვირთვა“

პარლამენტის არჩევნების დღეს შეიძლება გავიხსენოთ პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი ძირითადი პროგრამა, მიაჩნია „ფორი პოლისს“. ჟურნალი შემოკლებით აქვეყნებს ასპირანტ რიჩარდ ბენეტის მოხსენებას. გამოკვლევა მოეწყო პრინსტონის უნივერსიტეტის პროგრამით – „ინოვაცია წარმატებული საზოგადოებებისთვის“.

ვარდების რევოლუციის შემდეგ სულ რამდენიმე თვეში პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი ახალი გუნდი – ახალგაზრდები, უნივერსიტეტების ახალი კურსდამთავრებულები – შეეცადნენ, გარდაექმნათ საქართველოს მთავრობა, შეესუსტებინათ კორუფცია და გაეზარდათ ტრანსპარანტულობა და ეფექტიანობა, აღნიშნავს ავტორი. პრეზიდენტსა და მის პარტიას „ახალი ნაციონალური მოძრაობა“ მიაჩნდათ, რომ ხალხმა მათ მისცა მანდატი სახელმწიფო აპარატის დემონტაჟზე და მის მშენებლობაზე ხელახლა.

„ჩვენი მიდგომის ხერხემალი იყო ჩინოვნიკობის შესაძლებლობათა შეზღუდვა და პროცედურების გამარტივება“, – იხსენებს კონსტანტინე ვარძელაშვილი, რომელიც მაშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

სააკაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ დაასკვნეს, რომ კერძო ბიზნესის ზრდის დაბრკოლება კორუფციაა. შესაბამისად სამინისტროები და სხვა უწყებები საქართველოში გარდაიქმნენ, მათი ვალდებულებანი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა გაფანტულობით და არ იყო ზუსტი განსაზღვრები. ცენტრალურ მთავრობას ისიც კი არ შეეძლო, რომ განესაზღვრა, თუ რამდენია ქვეყანაში სახელმწიფო მოსამსახურე. სახელმწიფო სექტორში ხელფასები იყო ძალიან დაბალი, რაც ჩინოვნიკებს მექრთამეობისკენ უბიძგებდა.

„უკონტროლობა, ანგარიშგების არააკურატულად წარმოება, ქრთამები, ერთმანეთში არეული სარეგულაციო ნორმები და სურვილის უქონლობა, აიძულონ სათანადო სამსახურები, შეასრულონ კანონები – ეს ყოველივე ხელს უშლიდა გადასახადების შეკრებას“, – ნათქვამია სტატიაში.

მთავრობამ აღმოაჩინა, რომ ქვეყანა დაღმა მიექანებოდა. სააკაშვილს ჰქონდა სათანადო უფლებამოსილებანი რეფორმებისთვის – მაგალითად, უფლება, შეცვალოს მთავრობა და გაუშვას პარლამენტი, თუ დეპუტატები სამი თვის განმავლობაში ვერ დაამტკიცებენ ბიუჯეტს. პრემიერ-მინისტრს ჰქონდა უფლებამოსილება, დაენიშნა თითქმის ყველა მინისტრი.

2004 წლის ბოლოს სააკაშვილმა რეფორმების კოორდინაციის მინისტრად კახა ბენდუქიძე დანიშნა, მან კი სამუშაოდ მიიწვია ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელი ადამიანები, რომლებსაც სურდათ ცვლილებების შეტანა. „თითოეულ სამინისტროს უნდა დაემუშავებინა და განეხორციელებინა რეფორმები, ბენდუქიძის უწყებას კი – შეეთანხმებინა პოლიტიკის პრინციპები და მიზნები. იმ სამინისტროებს, რომლებმაც აჩვენეს კარგი შედეგები გარდამავალი პერიოდის პირველ თვეებში, ენიჭებოდათ დიდი ავტონომიები“, – ნათქვამია სტატიაში.

ბენეტი ასევე მიუთითებს, რომ შტატების შემცირება ხდებოდა ზედაპირულად. „შედეგად ახალი მთავრობის ბევრი წევრი აღიარებდა, რომ არასწორად გაათავისუფლეს ნიჭიერი თანამშრომლები“, – ნათქვამია სტატიაში.

სააკაშვილმა და ჟვანიამ შეამცირეს ასევე სამინისტროების რაოდენობა 18-დან 13-მდე. გამოავლინეს მათი ზედმეტი ფუნქციები და ურჩიეს ცენტრალიზაცია.

2007 წლის შემოდგომაზე დემონსტრაციების დაშლის ისტორიამ გააფუჭა სააკაშვილის მთავრობის იმიჯი და მომდევნო თვეებში რეფორმები ძლიერ შენელდა. „ბენდუქიძეს დაუწყეს კრიტიკა: სააკაშვილის ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ აქტიური პრივატიზაცია ხელს უწყობს ყოფილი საწარმოების შესყიდვას უცხოელების მიერ (განსაკუთრებით რუსეთელების მიერ)“, – ნათქვამია სტატიაში.

2008 წელს გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ომმა რუსეთთან მთავრობის ყურადღება ჩამოაშორა სახელმწიფო სამსახურების სტრუქტურულ რეფორმებს. ბევრი ქართველი ჩინოვნიკის სიტყვებით, სააკაშვილისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ბრძოლა კორუფციასთან და ეკონომიკის აღორძინება.

რეფორმატორების მიღწევებს ავტორი „შთამბეჭდავს“ უწოდებს: მაგალითად, მსოფლიო ბანკის ინდექსში საქართველო 2006 წლის 112-ადგილიდან მე-16-მდე ამაღლდა ბიზნესის დაწყების სიმარტივის თვალსაზრისით.

მაგრამ უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობის წინაშე დგას ახალი, უფრო რთული ამოცანები, – აღნიშნავს ავტორი. ესენია რეფორმების ინსტიტუციონალიზაცია, მინისტრების ძლიერი და სტაბილური გუნდის შექმნა და ა.შ.

FP Foreign Policy

დედამიწის ზურგზე

ავღანეთში აშშ-ის მეორეადამილი ჯარისკაცი მოკლეს

მსხვერპლის რაოდენობა უკანასკნელ თვეებში რამდენადმე იზრდებოდა. ტრაგიკულ ზღვარს მიაღწიეს გასულ შაბათს ავღანეთის უშიშროების ძალებსა და საერთაშორისო კოალიციის ჯარებს შორის მორიგი საბრძოლო შეტაკების დროს ვარდაკის პროვინციაში.

* * *

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა „ცოცხლად დამარხეს“ ლიბიის ყოფილი ლიდერი და გამოარკვიეს, თუ ვინ გასცა და ვინ „შეუკვეთა“ მოამარ კადაფი



კვირას არაბეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ გაავრცელა ცნობა გერმანიაში მუსტაფა აბდულ ჯალილის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ, რითაც მისცეს საშუალება მოამარ კადაფის მომხრეებს, ესაუბრათ სამართლიანობის ზეიმის შესახებ. ამ დროს ცნობილი გახდა ამ უკანასკნელის დაღუპვის დეტალები: იგი მოკლეს ფულის გულისთვის, იმივეს თანამგზავრის ტელეფონის დახმარებით, იტყობინებიან წყაროები ლიბიაში.

* * *

ირანის პრეზიდენტის პირადი კინოოპერატორი, რომელიც ჩავიდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, გაიძცა და ითხოვა თავშესაფარი



დაახლოებული პირის გაქცევა გახდა ერთ-ერთი ეპიზოდი უსიამოვნებათა შორის, რაც თან ახლავს ირანის პრეზიდენტს მისი ნიუ-იორკში ყოფნის დროს. რამ უბიძგა ოპერატორს დეზერტირობისკენ და სად იმალება იგი კერძოდ, უცნობია. მისმა ადვოკატმა მხოლოდ გაავრცელა ცნობა, რომ მამაკაცი ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

* * *

ჩავესმა მხარი დაუჭირა ობამას საპრეზიდენტო რბოლაში: თურმე, იმე „ქარბი ბიჭი ყოფილა“

ამავე დროს ვენესუელის ლიდერმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რომ კარაკასის მუშათა კვარტალიდან იყოს, ის ასევე დაუჭერდა მხარს ჩავესის კანდიდატურას, რომლის არჩევნებიც უკვე 7 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. ამერიკის თავგამოდებულმა კრიტიკოსმა განაცხადა, რომ სურდა, მოეწესრიგებინა მასთან „ნორმალური“ ურთიერთობანი.

ბათუმის კაზინოები: ლას-ვეგასი შავ ზღვაზე?

საქართველო მშვენიერია. შავი ზღვის სანაპირო კვლავ სავსეა ტურისტებით, და მთავრობას იმედი აქვს, რომ თამაშების ინდუსტრიის განვითარება მთელი წლის განმავლობაში მოიზიდავს აქ სტუმრებს.

როდესაც ბათუმში ჩადიხარ, ძნელია იწამო, რომ ეს იყო კორუფციასა და დამნაშავეობაში

ჩაფლული ქალაქი, რომელიც მოწყვეტილი იყო ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან და რომელსაც მართავდნენ, როგორც საკუთარ მამულს, ადგილობრივი ლიდერები.

დღეს პალმებს ანათებს ნეონები, ფანტანები და სასტუმროები განათებულია როგორც ახალი წლის ნაძვის ხეები.

აქ ძნელად რომ დაიწყო დაზუსტებათა ძიება, მაგრამ ამ ერთ დროს მჭმუნვარე და არცთუ მდიდარ კუთხეს ყოფილი საბჭოთა კავშირისა, დღეს შავი ზღვის ლას-ვეგასს უწოდებენ.

როგორც ლას-ვეგასში თაყვანს სცემენ პარიზისა და რომისმაგვარ სასწაულებრივ უზარმაზარ შენობებს, ისე ბათუმში ცდილობენ, შექმნან თავისი, ერთგვარად ლას-ვეგასის უცნაური ასლი.

საქართველოს მთავრობის იმედით ფრთაშესხმული ზოგიერთი წევრი ცდილობს, ქალაქი მონტე-კარლოს შეადაროს. მაგრამ მილიარდობით მოჭახჭახე შუქები და სათამაშო ავტომატები უფრო ინგლისის საკურორტო ქალაქ ბლეკპულს მოგვაგონებენ ჩრდილო აღმოსავლეთ ინგლისში, სადაც მე გავიზარდე.

ღამის სამორინეების თავზე ამაყად ფრიალებენ თურქული დროშები. ამ სათამაშო დაწესებულებათა მფლობელები ამბობენ, რომ ტურისტების 70 პროცენტი ბათუმში ჩამოდის სწორედ სამორინეებში სათამაშოდ. გამოსასვლელ დღეებში კი სტუმართა ნახევარზე მეტი, ვინც რულეტკას ან ბლეკ-ჯეკს თამაშობს, თურქები არიან.

შარშან ბათუმში კონცერტი ენრიკე იგლესიასმა გამართა.

ასეული წლების განმავლობაში თურქებმა მრავალგზის დაიპყრეს ეს რეგიონი. ახლა კი საქართველო ყველაფერს აკეთებს, რომ ისინი კვლავ დააბრუნონ აქ. საპასპორტო კონტროლი საზღვარზე თურქეთის მოქალაქეებისთვის გამარტივებულია. ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ, ჩამოვიდნენ აქ საღამოს, უბრალოდ, პასპორტის ჩვენებით.

შარშან ბათუმში იმყოფებოდა თითქმის 750 ათასი სტუმარი თურქეთიდან, მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნიდან. ყოველწლიურად აქ ჩნდება ახალი, სულ უფრო მეტი ტევადობის სასტუმროები, იხსნება თვალშისაცემი სამორინეები, ქუჩებში კი ინთება ათასობით ნათურა.

მაღაზიების მფლობელები ამბობენ, რომ აღტაცებული არიან იმით, თუ როგორ ვითარდება ადგილობრივი ეკონომიკა.

მაგრამ საზღვრის მეორე მხარეს, თურქეთში, უფრო ნაკლებად აღმაფრთოვანებელი გამოხმაურებები ისმის. ერთი თურქი მუშა აღიარებდა, რომ ის უკვე აღარ არის თავისუფალი და დამოკიდებულია. ის ჩამოდის ბათუმში თითქმის ყოველდღე სამუშაოს შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ცუდად გრძნობს.

ზოგიერთმა მისმა მეზობელმა მის სოფელში სათამაშო ვალების გამო ბიზნესი დაკარგა.

თურქეთის მეჩეთებში იმამები ამბობენ, რომ თამაში ჭირივით იქცა, რომელიც ანგრევს ოჯახებს. და ბევრი მეუღლე ამას ეთანხმება კიდეც.

დღეს ბათუმში უყვართ ცხინვალისა და სოხუმის მაგალითების გახსენება.

საქართველოში თურქეთის საელჩოს მონაცემების თანახმად, თურქი ქალები რეგულარულად ურეკავენ კონსულს ბათუმში, სთხოვენ, დაეხმარონ თავიანთი



ქმრების მოძებნაში, რომლებიც სამორინეებში ატარებენ დროს.

ეს რეგიონი ითვლებოდა კორუმპირებული კლანის მამულად, რომლის სათავეშიც ასლან აბაშიძე იდგა. ბევრი მას გადამრჩენად მიიჩნევდა, რომელმაც დაიცვა აჭარა სრული ნგრევისა და ქაოსისგან 1990-იანი წლების დასაწყისში. სხვებისთვის იგი იყო მაფიოზი, რომელიც ჩართული იყო ორგანიზებულ დანაშაულობებში და ეყრდნობოდა პირად არმიას.

მაშინ ბათუმში რომ მოხვედრილიყავი, უნდა გაგევლო რამდენიმე ბლოკ-პოსტი, საპასპორტო კონტროლი და ყველგან გადაგეხადა ქრთამი.

ამბობენ, რომ აბაშიძის ვაჟი რეგულარულად დააქროლებდა ზღვის სანაპიროზე თავის ლამბორჯინის.

როდესაც 2003 წელს ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, ის შეეცადა, აღედგინა კონტროლი აჭარაში, ბევრს ეშინოდა სამოქალაქო ომისა, მაგრამ შეძლეს მისი თავიდან აცილება მას შემდეგ, რაც აბაშიძე მოსკოვში გაიქცა.

და მართალია, მას დღემდე ემუქრება 15 წლის პატიმრობა დატაცებისთვის, თუ იგი საქართველოში დაბრუნდება, მაგრამ ბათუმი გახდა იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება სეპარატისტული რეგიონი გახდეს წარმატებული და რეინტეგრირებული.

სააკაშვილის მთავრობას უყვარს, უჩვენოს ბათუმი, როგორც მაგალითი ორ გამოყოფილ რეგიონის – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მიუხედავად რუსეთის მხარდაჭერისა, მათ დღემდე ვერ შეძლეს მოეშუშებინათ ომის ჭრილობები და ბათუმის სიკაშკაშე სოხუმისა და ცხინვალისთვის მეტად ბუნდოვანია.

ნაწილობრივ ეს მოგვაგონებს იმას, თუ, 1989 წლამდე როგორ ტრაბახობდა ამერიკის შეერთებული შტატები დასავლეთი ბერლინით მჭმუნვარე აღმოსავლეთ ბერლინის მცხოვრებთა წინაშე.

ასე რომ, უმჯობესია, თუ საქართველოს ხელისუფლება იფიქრებს მონტე-კარლოსა და ლას-ვეგასის ანალოგიებზე. ეჭვი მეპარება, რომ ბლეკპულთან შედარება მათ მეტად მოეწონებათ.

BBC RUSSIAN.com

მინიერი ჯოჯოხეთის პრინცესები
2. ნერონი

ლუციუს დომიციუს აჰენობარბი – იმპერატორი ნერონი, მსოფლიოს უმეტესი ნაწილის მპყრობელი გახდა დედის, აგრიპინა უმცროსის წყალობით. იგი კალიგულას დისწული იყო, მანაც რომის ისტორიაში სისხლისმსმელი ურჩხულის სახელი დაიმკვიდრა. ნერონი დაიბადა 37 წელს. ორი წლისას გარდაეცვალა მამა, საკმაოზე ბევრად უარყოფითი პიროვნება, გნეუს დომიციუს აჰენობარბი, ხოლო დედა, ამორალური და პატივმოყვარე აგრიპინა, შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, იმპერატორმა გადაასახლა. მცირეწლოვანს კალიგულამ მემკვიდრეობაც ჩამოართვა და უდედმამოდ დარჩენილი იზრდებოდა მამიდის ფორმალური მზრუნველობით.

41 წლის იანვარში კალიგულა შეთქმულებმა მოკლეს. პრეტორიანელებმა ტახტზე დასვეს მისი ბიძა კლავდიუსი. ახალმა იმპერატორმა აგრიპინა გაათავისუფლა. ნერონის დედა დაბრუნებისთანავე გათხოვდა მდიდარ ორატორ პასიენზე. მოკლე ხანში პასიენი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. მისი ქონება აგრიპინას ხელში გადავიდა.

აგრიპინას აღმასვლა (რაც თავისთავად ნერონის აღმასვლას ემსახურებოდა) დაიწყო 48 წლიდან, როდესაც სიკვდილით დასაჯეს კლავდიუსის მეუღლე, ულამაზესი, მაგრამ გარყვნილების ზღვარს გადამცდარი მესალინა.

აგრიპინა შეუდგა ბრძოლას კლავდიუსის ხელში ჩასაგდებად. გავლენიანი ლიბერტინების მოსყიდვით ვერაგმა ძმისწულმა ყველა პრეტენდენტი ჩამოიშორა და 49 წელს დაქორწინდა გარეგნულად მახინჯ კლავდიუსზე.

სუსტი ნებისყოფის კლავდიუსი ადვილად ექცეოდა მეუღლეების გავლენის ქვეშ (აგრიპინამდე მას სამი ცოლი ჰყავდა), მაგრამ ძმისწულმა შეუდარებლად გადააჭარბა თავის წინამორბედებს. მისმა ბოროტმა ზრახვებმა შეუზღუდავად გაშალა ფრთები, შედეგმაც არ დააყოვნა. 50 წელს კლავდიუსმა ნერონი შვილად აიყვანა. ამას დაემატა მისი დანიშვნა იმპერატორის ასულ ოქტავიაზე, ოლო კლავდიუსის ძემ ბრიტანიკუსმა კულისებში გადაინაცვლა.

საიმპერატორო კარი აგრიპინამ თავისი ჩანაფიქრის მიხედვით დაალაგა. კლავდიუსი წინააღმდეგობას ვერ უწევდა, მაგრამ მისი სახით მაინც ბარიერს გრძნობდა. აგრიპინამ ეს ბარიერიც ადვილად გადალახა. „ძვირფას“ მეუღლეს მოწამლული საჭმელით მოუსწრაფა სიცოცხლე. 54 წელს 17 წლის ნერონმა იმპერატორის ტახტი დაიკავა.

ნერონმა საფუძვლიანი განათლება მიიღო. აგრიპინას მიწვეული ჰყავდა პირველხარისხოვანი მასწავლებლები. ადრეულ ასაკში წვრთნიდნენ ანიკეტი და ბერილი (ყოველგვარი ავკაცობის ჩამდენი ლიბერტინები). მომავალი იმპერატორის განსწავლაზე დიდი გავლენა მოახდინა ეგვიპტელმა ქურუმმა ხერემონმა, მაგრამ დამაგვირგვინებელი საფეხური დაკავშირებულია სახელოვანი ფილოსოფოსის, პოეტის, დრამატურგის და ორატორის ლუციუს ანეუს სენეკას სახელთან.

ახალგაზრდა ნერონი ფართო ინტერესებით გამოირჩეოდა. კარგად იცნობდა ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ფილოსოფიას. პოპულარიზაციას უწევდა ყოველივე ბერძნულს, სასახლე მორთული ჰქონდა ევრიპიდეს ტრაგედიების პერსონაჟებით და მითოლოგიური სცენებით, სერიოზულ ცოდნას ამჟღავნებდა არქიტექტურაში, წერდა ლექსებს, პოემებს, ტრაგედიებს, დიდი მონდომებით ეუფლებოდა მუსიკალურ ინსტრუმენტებს, და რაც მთავარია, მიაჩნდა, რომ იყო შეუდარებელი მსახიობი და მომღერალი. ჰქონდა შესანიშნავი მეხსიერება და სწრაფად შეთვისების უნარი. ჩამოთვლილი ღირსებებიდან გამომდინარე, იმპერიის ბოროტ სულად მიჩნეული ნერონი, განათლებული და შემოქმედი პიროვნება იყო. ამავე დროს გამოკვეთილად ჩანდა თანდაყოლილი ნაკლიც. არ გააჩნდა მოთმინებისა და თავშეკავების უნარი. ახალგაზრდობიდანვე ცდილობდა რეალობის თეატრალიზებას. ასეთი ინტელექტუალი კერძო პირად რომ დარჩენილიყო, განათლებული კაცის სახელით დაასრულებდა წუთისოფელს, მაგრამ ბედმა (თუ უბედობამ) აქცია ზეადამიანად და ძალაუფლებამ განძარცვა ადამიანურობისაგან და ჩამოაყალიბა სისხლიან და კაციჭამია ურჩხულად.

ნერონის მმართველობის დასაწყისში აგრიპინა ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფებოდა. ხლართავდა ათასგვარ ინტრიგას და რომიდან აძევებდა არასასურველ პირებს. მის მბრძანებლურ ბუნებას სერიოზულად ეწინააღმდეგებოდნენ პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი აფრანიუს ბური და სენეკა, მაგრამ ბოროტება თავის გზას არ თმობდა. აგრიპინა ნერონის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა, შვილზე გავლენის შესანარჩუნებლად ყოველგვარ უზნეობასა და სისაძაგლეს სჩადიოდა (ანტიკური მწერლები შვილთან სექსუალურ კავშირზეც კი მიუთითებენ).

ნერონი დამოუკიდებელი მოქმედების გზებს ეძებდა. იგი უკმაყოფილო იყო იმით, რომ დედა სახელმწიფო საქმეებში აქტიური მონაწილეობის სურვილს არ თმობდა. დედასა და შვილს შორის ურთიერთობა უკიდურესად იძაბებოდა. აგრიპინა ვერ თმობდა პირველქალობას და ნერონს აფრთხილებდა, თუ გონივრულად არ მოიქცეოდა, იმპერატორის ტახტს ჰყავდა კანონიერი მემკვიდრე. მუქარამ ნერონი შეაშინა და თავის ერთგულ ქვეშევრდომებს 14 წლის ბრიტანიკუსი მოაწამვლინა.

ნერონს ასაკის მომატებასთან ერთად, ძალაუფლების ტკბობის წყურვილიც ემატებოდა. საბედისწეროდ კარგავდა წონასწორობას და თავაშვებულ დესპოტად ყალიბდებოდა.

აგრიპინას ეძნელებოდა მოპოვებული სიმაღლის დათმობა და გააფრთებული ცდილობდა მდგომარეობის არა მარტო შენარჩუნებას, არამედ გაფართოებასაც. ნერონის გარემოცვამ კარგად იცოდა აგრიპინას დაუნდობლობა და შურისმაძიებლობა. ამიტომ დაასწრეს. კორნელიუს ტაციტუსს ჩამოთვლილი აქვს ვარიანტები, თუ როგორ უნდა ჩამოეშორებინათ აგრიპინა. ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა გემის კატასტროფაც. გემი მოაწყვეს ისე, რომ ზღვაში გასვლისთანავე უნდა დაშლილიყო. გემი მართლაც დაიშალა და ჩაიძირა, მაგრამ აგრიპინამ ნაპირამდე გაცურა და გადარჩა. ბოლოს დახელოვნებულმა მკვლელმა ანიკეტმა შეიარაღებული რაზმით ალყა შემოარტყა აგრიპინას ვილას და ხანჯლით მოუსწრაფა სიცოცხლე. იმპერიის ხანის რომის უარყოფით ქალთა გამორჩეულ ფიგურას სიცოცხლე წაართვა მისივე ბოროტებით ნაკვებმა ურჩხულმა. გამართლდა კორნელიუს ტაციტუსთან დაცული ლეგენდა, რომლის თანახმადაც თითქოს ერთხელ წინასწარმეტყველს მიმართა, რომ გაეგო შვილის მომავალი ბედი. წინასწარმეტყველმა იგი გააფრთხილა, მისი შვილი გამეფდება, მაგრამ მოკლავს საკუთარ დედასო. გახარებულ აგრიპინას უპასუხნია: „დე მოკლას, ოღონდ გამეფდეს“.

დიდი ბოროტების მატარებელი იყო აგრიპინა, მაგრამ

მისი არსებობა გარკვეულ წონასწორობას ამყარებდა. 59 წლიდან ნერონი ყოველგვარი კონტროლიდან გავიდა და გადაიქცა ადამიანთა მოდგმის შეუზღუდავ მტარვალად. განათლებული, არტისტული ბუნების, კარგი გარეგნობის ნერონისაგან თანდათან გამოიკვეთა მხეცი, რომელსაც სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანების წამება. ძალაუფლებამ განაპირობა მისი გაორება. გარეგნულად გამბედავი, შინაგანად მშიშარა იყო. ყოველ ნაბიჯზე შეთქმულება ელანდებოდა. შიში ზრდიდა დაუნდობლობას. პირველ რიგში გაანადგურა იულიუს კლავდიუსების ნათესავები, რომ ვინმეს ხელისუფლების სურვილი არ გასჩენოდა. არ დაინდო დინასტიის ნათესავი ქალებიც. გაიმეორა ტიბერიუსისა და კალიგულას სისხლიანი პოლიტიკა.

ნერონს სახელმწიფო საქმეები არ აინტერესებდა. რომი თვითდინებით მიდიოდა. ამ დინებაში საერთოდ არ იგრძნობოდა იმპერატორის ხელი. ნერონი თავის ძირითად მოწოდებად მიიჩნევდა სასცენო არენას. თვლიდა, რომ ამ სოფელში იგი შეუდარებელი იყო. ნერონი არტისტი, მომღერალი, კითარისტი, ენერგიას არ ზოგავდა მსმენელების გასაოცებლად. უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა აღფრთოვანებულ მაყურებელთა ტაში. ამ მიზნით ერთი ლეგიონი (ხუთი ათასი) კარგად გავარჯიშებული ტაშის დამკვრელები დაჰყავდათ. სიმღერისა და ტრაგიკული როლების გარდა, დიდი იყო მისი პოეტური ამბიციებიც. თხზავდა სიმღერების ტექსტებს, დაუწერია პოემა ტროას ომის შესახებ (პოემა სატირიკოსი პოეტის იუვენალის დაცინვას იწვევდა). ნერონის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მსჯელობენ ტაციტუსი და სვეტონიუსი.

ნერონი მოხიბლული იყო ცნობილი ბერძენი კითარისტისა და მომღერლის ტერპნის ხელოვნებით. მისი ხელმძღვანელობით საკმაოდ მაღალი დონის სკოლაც გაიარა და ისე დაამუშავა ხმა, რომ ტოლს არ უდებდა პროფესიონალ მომღერლებს, მაგრამ საერთოდ არ ახსოვდა, იმპერატორს სხვა საქმეებიც რომ უნდა ეკეთებინა.

რომში სიმღერა და ბერძნული თეატრალური წარმოდგენები პოპულარობით არ სარგებლობდა. რომაელები იმპერატორის გატაცებებს ნაძალადევი ოვაციებით ხვდებოდნენ. ამის გამო უყვარდა ელინური ქალაქი ნეაპოლი. არტისტი და მომღერალი ნერონი ფრთებს შლიდა ბერძნების გარემოცვაში. მისი აზრით, ისინი იყვნენ ჭეშმარიტი ხელოვნების დამფასებლები.

ნერონის ცხოვრებაში სიმღერა-მსახიობობის მომდევნო საფეხურზე იდგენ ქალები. პირველი მეუღლე, კლავდიუსის ასული ოქტავია, როგორც ქალი, საერთოდ არ აინტერესებდა. იმავე პერიოდში მისი გატაცების საგანი გახდა მცირე აზიელი ლიბერტინი აკტე. 58 წლიდან მისი ყურადღება დაიპყრო პოპეია საბინამ. ვიდრე ნერონს შეხვდებოდა, პოპეიას ორი ქმარი ჰყავდა. მისი მეორე ქმარი მარკოს ოტონი, ნერონის მეგობარი იდა მისი თავაშვებული ცხოვრების თანამონაწილე იყო (მოგვიანებით, 69 წლის იანვარ-აპრილში, ოტონი რომის იმპერატორიც იყო). პოპეია საბინამ დიდი გავლენა მოიპოვა ნერონზე. ანტიკური ავტორების დახასიათებით იგი იყო ლამაზი, გარყვნილი, სასტიკი, ორპირი. კორნელიუს ტაციტუსი წერს, „პოპეიას ჰქონდა ყველაფერი, სუფთა სულის გარდა“. პოპეიას დაჟინებული მოთხოვნით გადაუწყვიტა ნერონმა სიკვდილი პირველ მეუღლეს ოქტავიას, კდემამოსილებით აღსავსე ახალგაზრდა ქალს. იგი იყო აგრიპინას დასჯის ერთ-ერთი ინიციატორი. მას სხვა მრავალი დანაშაულიც მიეწერება, მაგრამ ჩადენილი ბოროტებანი არც პოპეიას შერჩა. 65 წელს გონებადაკარგულმა ნერონმა იგი ცემით მოკლა. იმავე წელს იმპერატორმა ცოლად შეირთო სტატილია მესალინა.

ნერონის გადაგვარებული ბუნება ვლინდებოდა კაცებთან ურთიერთობაშიც. წყაროებს დაცული აქვთ მისი რამდენიმე მიჯნურის სახელი (დორიფორი, პითაგორი), განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა სპორს. სიბილას კულტის მსახური სპორი კასტრირებულ იყო. იგი ყველა მოგზაურობაში იმპერატორის ამალაში იყო. სპორი ნერონის გვერდით იმყოფებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც.

აგრიპინას დასჯის შემდეგ იმპერატორზე გარკეულ გავლენას ინარჩუნებდნენ პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი აფრანიუს ბური და ფილოსოფოსი სენეკა. 62 წელს ბური გარდაიცვალა. ნერონმა საიმედო დასაყრდენად შეარჩია სოფონიუს ტიგელინი. ტიგელინის შესახებ ტაციტუსი წერს, მან ახალგაზრდობა სიბინძურეში გაატარა, მოხუცებულობა კი უსირცხვილობაშიო.

შეთქმულების მანიით შეპყრობილი ნერონი მხოლოდ პრეტორიანულ გვარდიას ეყრდნობოდა. ნდობას ტიგელინიც შესანიშნავად იყენებდა. რომი პოლიციურ სახელმწიფოდ გადააქცია. ადგენდა დასასჯელთა სიებს, ასპარეზი გაუფართოვა დამსმენებს. სიფრთხილე იქამდე მივიდა, რომ თეატრში ნერონის გამოსვლისას მაყურებელთა სახის გამომეტყველებასაც კი აკვირდებოდნენ და ვინც საეჭვოდ მოეჩვენებოდათ, აპატიმრებდნენ. უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, შეთქმულებებს მაინც აწყობდნენ. 65 წელს მოეწყო დიდი შეთქმულება. ნერონი უნდა მოეკლათ თეატრში. მიზანი სისრულეში ვერ მოიყვანეს და შეთქმულების მონაწილენი უმკაცრესად დასაჯეს. ბრალი დასდეს სენეკასაც, რომელიც აიძულეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა.

მძვინვარე მხეცის სისხლიან გზაზე განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა რომში დატრიალებული სისხლიანი კალო. 64 წლის 18-19 ივნისის ღამეს „მარადიულ ქალაქში“ გაჩნდა ხანძარი, რომელიც ცხრა დღე გაგრძელდა. ცეცხლი სწრაფად გავრცელდა და ქალაქის დიდი ნაწილი ფერფლად აქცია. ნერონი რომში არ იმყოფებოდა, მომხდარი უბედურება რომ გაიგო, მაშინვე დაბრუნდა და ცეცხლის ჩაქრობაში ჩაერთო. ამის მიუხედავად გავრცელდა ხმები, რომ ხანძარი მისი მითითებით გააჩინეს (იმასაც ამბობდნენ, ნერონს არ მოსწონდა რომი. სურდა მის ნაცვლად ახალი ქალაქის აგება, რომელსაც სახელი უნდა შეცვლოდა და ნერონოპოლისი დარქმეოდა). ხმებმა ისეთი რეზონანსი მიიღეს, რომ ნერონი იძულებული გახდა მასზე რეაგირება მოეხდინა და თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა. ნერონის მსტოვრებმა ხანძრის გაჩაღებაში ბრალი დასდეს პირველ ქრისტიანებს და დაიწყეს მათი მხეცური განადგურება. კორნელიუს ტაციტუსი ქრისტიანების მიმართ გამოკვეთილად ტენდენციურია, მაგრამ სრულად აქვს აღწერილი მხეცადქცეული იმპერატორის ნამდვილი სახე. საყურადღებოა ისიც, რომ ისტორიკოსი წერდა არა შორეულ წარსულზე, არამედ მის თანამედროვე ამბებზე. კორნელიუს ტაციტუსის თანახმად, ნერონი იყო ქრისტიანების პირველი მდევნელი, რომელმაც „მარადიული ქალაქი“ აქცია მოწამეთა სისხლით მორწყულ ქალაქად (ტრადიციით, მოციქულები პეტრე და პავლე, რომში ნერონის დროს აწამეს).

გადამწვარი რომის ადგილას დაიწყო ახალი ქალაქის მშენებლობა. ნერონისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ანტიკური ავტორები იმპერატორის ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის შესახებ აღტაცებას ვერ მალავენ. პროექტის თანახმად ახალი განაშენიანების მთავარი ნაგებობა უნდა გამხდარიყო იმპერატორის სასახლე (მისი არქიტექტორი იყო ნერონი). გარეგნულ სილამაზესთან ერთად, საერთო მოწონებას იმსახურებდა ქანდაკებით და კედლის მხატვრობით მორთული ინტერიერი, ნერონის ბრძანებით, სასახლის შესამკობად მრავალი ძეგლი გადაიტანეს საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან (მოღწეულია ამ ზღაპრული სასახლის ნანგრევები).

გრანი ქავთარია
(დასასრული იძნება)

◎ ემიგრანტი

პირნათელი



იგი რამდენიმე თვის წინათაც იყო ჩამოსული სამშობლოში ოჯახთან ერთად. მაშინ შემპირდა – შემოდგომაზეც მელოდეთ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებადო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ვერ დავიჯერე – ხომ იცით, როგორ სოლიდურ ხარჯებს უკავშირდება წელიწადში ორჯერ ოკეანის ორივე მიმართულებით გადასერვა. აღარაფერს ვამბობ სხვა მსხვილმან-წვრილმან ფაქტორებზე, თუნდაც სამსახურის გაცდენაზე, საქართველოსგან განსხვავებით, ამერიკაში წარმოუდგენელი რომაა და უმუშევრად დარჩენის რეალურ საფრთხეს შეიცავს.

რ. ი. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ატლანტაში ცხოვრობს. თავიდან ბავშვობის გატაცებას – ფეხბურთს ერთგულებდა და, პარალელურად, პოსტსაბჭოთა სივრციდან ჩასულ ემიგრანტთა შვილებსაც ავარჯიშებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც თანამემამულე გულის სწორს დაუკავშირა ბედი და მამა გახდა, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა და პროფესიით დაიწყო მუშაობა ერთ-ერთ სოლიდურ ფირმაში.

– მივლინებებით ხშირად მიწევს ევროპაში ჩამოფრენა, მაგრამ გუშინდელ მართლაც ყოფნა-არყოფნის ტოლფას ქართულ არჩევნებზე გამომგზავრება ვერანაირად ვერ ჩავსვი გრაფიკში. ასე რომ, გამორიცხული არაა, იქაურ ჯორჯიაში დაბრუნებული, ქუჩაში აღმოვჩნდე, მაგრამ არა უშავს – რაც მთავარია, საკუთარი ნამუსისა და მონაგრის წინაშე სიცოცხლის ბოლომდე პირნათელი ვიქნები.

სხვათა შორის, ერთ მომენტში დავფიქრდი კიდეც, ღირდა ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა?, მაგრამ გლდანის ციხის ამაზრზენმა კადრებმა და გაეროს ასამბლეაზე ჩამობრძანებული ჩვენი ქვეყნის ვაი-პრეზიდენტის უტიფრობამ საბოლოო გადაწყვეტილება მიმაღებინა.

დავძენ, რომ ტყუილად ფიქრობთ, თითქოს სააკაშვილი იქ ისევ დემოკრატიის შუქურად მიაჩნიათ. როგორ გეკადრებათ – სად სად და ამერიკაში, საქართველოსგან განსხვავებით, ბრწყინვალედ არჩევენ ერთმანეთისგან ჭეშმარიტ ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ფსევდოღირებულებებზე დაფუძნებულ პიროვნულ მრწამსს. დარწმუნებულნი იყავით – ბუშისდროინდელმა ეიფორიამ უკვე კონგრესშიც ჩაიარა, სენატშიც და რიგით ამერიკელშიც. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ გამონაკლისებს.

საუბრის ბოლოს სამშობლოს სტუმარმა მოკრძალებით მთხოვა – თუ შესაძლებელია, ინიციალებით მომიხსენიეთ, რათა უკან გაბრუნებისას საბაჟოზე პრობლემა არ შემექმნასო.

ბუნებრივია, დავთანხმდი.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭიდაობა

ოთხი ჯილდო კიევიდან



საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა კიევის საერთაშორისო ტურნირზე თითო „ოქრო“ – „ბრინჯაო“ და ორი „ვერცხლი“ დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი დავით მარსაგიშვილი (84). ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ ლონდონის ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60) და ელიზბარ ოდიკაძე (96). ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მესამეადგილოსანი დავით ხუციშვილი (74) კიევშიც მესამე ადგილზე გავიდა.

◎ პლაჟის ფრენბურთი

შემოდგომის ვნებანი

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტისა და ფრენბურთის ეროვნული ფედერაციების ინიციატივით კუს ტბაზე გოგონათა და ვაჟთა რვა-რვა სტუდენტურმა გუნდმა მოიყარა თავი პლაჟის ფრენბურთში საასპარეზოდ. ჯგუფური ორთაბრძოლების შემდეგ გოგონათა ტურნირის ნახევარფინალში შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდმა თსუ-ს სძლია 2:1, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტმა სამედიცინო უნივერსიტეტის ფრენბურთელებს მოუგო 2:0. ფინალურ პაექრობაში „საქართველომ“ (ანა კოსტავა, ანა თვაური) „შავი ზღვა“ (სალომე თითვაძე, ირინე ჭელიძე) დაამარცხა 2:1 და მთავარი პრიზი მოიპოვა. მეორეზე „შავი ზღვა“ გავიდა. მესამე ადგილი კი თსუ-ს (თამარ დიდებაშვილი, მარიამ დანელია) ერგო.

ვაჟებში პირველი ადგილი სტუ-ს ფრენბურთელებმა (გიგა გუგავა, გიორგი ყიფშიძე) დაიკავეს: ნახევარფინალში მათ სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხეს 2:1, ფინალში კი ასეთივე ანგარიშით საქართველოს უნივერსიტეტს (ჯემალ მელიქიძე, ნიკა გოგიჩაიშვილი) აჯობეს. მესამე ადგილზე სამედიცინო უნივერსიტეტის ფრენბურთელები (ფარნა იორდანიშვილი, ირაკლი ნადირაშვილი) გავიდნენ.

ლეჭსო ციწცაძე

◎ კალათბურთი

ისევ მოიგო



18 წუთში მოგროვებული 4 ქულა და 6 მოხსნა – ასეთია საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის ვიქტორ სანიკიძის მორიგი მონაგარი მის ახალ იტალიურ კლუბში – სიენას „მონტეპასკიში“.

„სერია ა“-ს მეორე ტურის მატჩი ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონებმა სტუმრად მძაფრ ბრძოლაში მოუგეს ელიტის დებიუტანტ „რეჯინას“ – 61:56.

რაც შეეხება მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუს“, მონაწილეთა კენტი რაოდენობის გამო მისი გუნდი ამჯერად ისვენებდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჭადრაკი

ნანა ძაგნიძე კვლავ ექვსეულშია

ფიდემ საოქტომბროდ საუკეთესო მოჭადრაკეთა ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა. ნანა ძაგნიძემ, რომელმაც მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მცირე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მონაგარი გაიმდიდრა და 2555 პუნქტით მე-6 ადგილი შეინარჩუნა. სათავეში კი უწინდებურად იუდით პოლგარია (უნგრეთი, 2705). ათეულში მომდევნო ადგილებზე არიან: ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2607), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2605), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2587), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2565), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2551), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2539), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2528), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2521). ქართველთაგან ასეულში, ძაგნიძის გარდა, კიდევ ათი მოჭადრაკეა: 15. ბელა ხოტენაშვილი (2504), 40. ლელა ჯავახიშვილი (2444), 46. ნინო ხურციძე (2430), 47. ნინო ბაციაშვილი (2430), 51. სოფიკო გურამიშვილი (2418), 61. სალომე მელია (2403), 68. სოფიკო ხუხაშვილი (2396), 70. ნაზი პაიკიძე (2394), 74. მერი არაბიძე (2391), 100. მაია ლომინეიშვილი (2363).



ვაჟთა ასეულში ერთადერთი წარმომადგენელი გვყავს – ბაადურ ჯობავა (2710). იგი ერთი თვის წინათ 2730 პუნქტით მე-19 იყო, მაგრამ ნაოპერაციევმა სუსტად ითამაშა შავი ზღვის ქვეყნების ფინალურ ტურნირში და 20 პუნქტი დაკარგა. 2843 პუნქტით ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი მეწინავეობს (გარი კასპაროვის რეკორდამდე 6 პუნქტილა აკლია). ათეულში შემდეგ მოდიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2821), ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი, 2795), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2792), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2786), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2780), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2780), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2772), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2771), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2758).

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXIV ეროვნული ჩემპიონატი. VIII ტური. „დინამო“ – „სიონი“ 7:2 (დვალი – 2, მერებაშვილი – 2, ხმალაძე, ვოსკობოინიკოვი, ალვარო; ჯიქია, მანწკავა), „ტორპედო“ – „დილა“ 0:1 (ახალკაცი), „ბათუმი“ – „კოლხეთი“ 3:1 (ჯორბენაძე, ბერიძე, ტიმჩიშინი; კვანტალიანი), „მეტალურგი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:2 (ჩიმაკაძე, გოგიაშვილი), „ზესტაფონი“ – „ჩიხურა“ 0:0, „მერანი“ – „ბაია“ 1:2 (შოთა ლომია; ფოფხაძე, საბა ლომია).

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 19, „ტორპედო“ – 16, „ჩიხურა“ – 14, „დილა“, „ბაია“ – 13-13, „მეტალურგი“ – 12, „ზესტაფონი“ – 11, „მერანი“ – 9, „ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“ – 8-8, „სიონი“ – 7, „კოლხეთი“ – 3 ქულა.

* * *

იტალია. „იუვენტუსი“ – „რომა“ 4:1, „სამპდორია“ – „ნაპოლი“ 0:1, „ლაციო“ – „სიენა“ 2:1, „ინტერი“ – „ფიორენტინა“ 2:1.

ესპანეთი. „სევილია“ – „ბარსელონა 2:3, „რეალი“ – „დეპორტივო“ 5:1, „ესპანიოლი“ – „ატლეტიკო“ 0:1, „მალაგა“ – „ბეტისი“ 4:0.

ინგლისი. „არსენალი“ – „ჩელსი“ 1:2, „მანჩესტერი“ – „ტოტენჰემი“ 2:3, „ფულჰემი“ – „სიტი“ 1:2, „ნორვიჩი“ – „ლივერპული“ 2:5.

გერმანია. „ვერდერი“ – „ბაიერნი“ 0:2, „ბორუსია“ – „გლადბახი“ 5:0, „ფორტუნა“ – „შალკე“ 2:2, „აინტრახტი“ – „ფრაიბურგი“ 2:1.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„გათავებულია „ჰიტლერის“ საქმე“!

სანამ რუსთაველზე ავიდოდე და „ოცნების“ მიტინგს შევუერთდებოდე, „ალექსანდრეს ბაღში“ ვსხედვართ მე და ჩვენი „პარლამენტის“ უხუცესი წევრი მიშა მურვანიძე — საქართველოს უკეთეს ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი კაცი... რა თქმა უნდა, მომავალ არჩევნებზე ვსაუბრობთ, თან თვალს ვადევნებთ „ვორონცოვიდან“ ბაღზე გავლით რუსთაველზე მიმავალ უამრავ ქალსა და კაცს, ახალგაზრდასა და ხანშიშესულს — ღიმილიანებს, იმედიანებს... მოდიან და მოდიან...

— გათავებულია „ჰიტლერის“ საქმე! — „მე, ბებია, ილიკო და ილარონიდან“ ცნობილ ფრაზას წარმოთქვამს ჩემი თანამოსაუბრე, გურული მურვანიძე, ჰიტლერში, რა თქმა უნდა, მიშას გულისხმობს და თან ირონიულად ეღიმება.

— ღმერთმა გისმინოს, ძია მიშა, ავალ ახლა მეც რუსთაველზე, შევუერთდები ხალხს...

— ადი, ადი, მე დამჩაგრა ავადმყოფობამ, თვარა...

მალული ცრემლი რუსთაველზე

გადატენილია აქაურობა, ემატება და ემატება ხალხი — განა გამგებლების მიერ ორგანიზებული დიდ-პატარა, თავის სურვილით (ამინდიც ხელს უწყობთ) მოდიან და მოდიან „ოცნების“ მიტინგზე. კარგა ხნით ადრე შევუერთდი ხალხს, მაგრამ მეტრო „თავისუფლების მოედნის“ იქით ვერაფრით წავიწიე, ჰოდა, ვდგავარ. „თავისუფლების მოედნიდან“ მთელი ხმით „მიჰყავს“ მიტინგი თამარ ჭოხონელიძეს, ეფერება იგი თბილისელებს, მთელ საქართველოს, ქუთაისს, სადაც თბილისის პარალელურად მიმდინარეობს მიტინგი, მაინც, სად პოულობს ასეთ გულშიჩამწვდომ სიტყვებს ეს დალოცვილი... ამას ემატება ნანი ბრეგვაძის საოცარი შესრულებით — „ვაზო, შენს გამო არ ვართ მოცლილი“..., აქეთ-იქით, ჩუმ-ჩუმად, მალულად, იმშრალებენ თვალზე მომდგარ ცრემლს ჭარმაგი მამაკაცები... რაღა დაგიმალოთ და, ცრემლი მეც მომეძალა ამ სიტუაციაში (ცოტა გადაკრულში იქნებოდი და იმან იცისო, წამკბენს ჩემი მეგობარი და კოლეგა რუსლან რუსია, მაგრამ როგორ დავუმტკიცო, რომ წვეთი არ მქონდა იმწუთას დალეული)... ერთი სიტყვით, ბევრი იმშრალებდა შაბათ ნაშუადღევს რუსთაველზე ცრემლს და ეს უპირველესად იმედს ჩაბღაუჭებული ხალხის ცრემლი იყო, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, თავისი ბრწყინვალე გამოსვლით, კიდევ ერთხელ რომ ჩაუნერგა მათ.

გაზარდე ტირაჟი, ალეკო!

კრიტიკული პათოსი არასდროს აკლდა ცნობილი ჟურნალისტისა და პოეტის ალექსანდრე შენგელიას შემოქმედებას. გასაკრიტიკებელს არც პრესაში მოლვაწეობისას უვლიდა იგი გვერდს, და არც ტელევიზიაში. აქ დარისხებული მისი „კაკაბეთის ზარები“ მოვლენად იქცა გახურებულ კომუნისტურ ეპოქაში. მკაცრი პუბლიცისტიკა და ირონია ლექსშიც შეინარჩუნა ჩვენმა ალეკომ, რასაც დიდი „გასაქანი“ შესძინა „მიშას ეპოქამ“. იცოცხლეთ, თემები დაუგროვდა ალეკოს და, ისიც, ამ ბოლო დროს, ერთიმეორეზე უკეთეს ირონიულ-პაროდიული პოეზიის ნიმუშს სთავაზობს ხოლმე მკითხველს.

თოფი სასროლად დატენა:
— ხალხს რად აძლევსო ანტენას
ივანიშვილი ბიძინა?

მაშ, ღმერთმა რად გაიცინა?
ქვეყნის ჯიბიდან იმავეს
ქრთამად გვპირდება ივანე!

რითი?
თუ მონად დავურჩით,
ათასლარიან ვაუჩრით!
...კორუფციაზე გვაყვირეს,
ბოლოს კი გაგვაშაყირეს!

ეს არის ამონარიდი ალექსანდრე შენგელიას ახლახან ქუთაისში დასტამბული ლექსების წიგნიდან **„სათრეველა“**, რომელიც, სხვათა შორის, ავტორს მხოლოდ ასი ეგზემპლარი გამოუცია უახლოესი მეგობრებისთვის საჭაშნიკოდ და ახლა მათ შეფასებას ელოდება, მოუმატოს თუ არა ტირაჟს (ვითომ ქუთაისური შაყირია?).

მე თუ მკითხავ, ჩემო ალეკო, ამ კრებულში, მის ცალკეულ თავებში ისეთი საჭირო, დღევანდელ ავ დროს რომ ეხმიანება, ლექსებია დასტამბული, რომ, ჩემი აზრით, ბევრმა უნდა წაიკითხოს, რადგან, როგორც კრებულის რედაქტორი ვაჟა გავაშელი წინათქმაში ამბობს, „ისტორიის სანაგვეზე სწორედ „სათრევლათია“ გადასათრევი ყველა უკეთური და ის უკეთურობა, რომელიც ჩვენს ხალხს დღეს აწუხებს“.

ჰოდა, შენი ახალი ლექსების კრებულის ტირაჟი, დიახაც, რომ უნდა გაზარდო, ჩვენო ალეკო!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ნაციონალური „მარათონი“

ნაჩქარევად გახსნილი „დეზერტირები“

სად ეჩქარებათ ნაციონალებს? როდემდე უნდა შეაყარონ ხალხს თვალში ნაცარი და იტრაბახონ თავიანთი მიღწევებით? ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო კვირას ნაჩქარევად გახსნილი, ჯერაც დაუმთავრებელი აგრარული „დეზერტირების“ ბაზარი. ან რას ანგრევდნენ ამ შენობას და თუ ანგრევდნენ იმავე ადგილზე, ასე ნაჩქარევად რაღას აშენებდნენ? ორსართულიანი აგრარული ბაზარის მხოლოდ მეორე სართული გახსნეს, სადაც მათი თქმით ხუთასი სავაჭრო ადგილია გამოყოფილი 138 დახლ-მაცივრებით. სამაგიეროდ, იმედიანად გვპირდებიან, რომ პირველ სართულზეც უახლოეს მომავალში გაიხსნება სავაჭრო ცენტრები, სამაცივრო ბლოკ-სათავსოები და ავტოსადგომი.

ნაცების მიერ ნაჩქარევად გახსნილი მრავალი ობიექტი გვახსოვს მთელი საქართველოს მასშტაბით: ორ დღეში სახურავგადახდილი აეროპორტი, ბათუმის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, სადაც მსახიობები და მაყურებლები წვიმიან ამინდში ქოლგის გარეშე ვერ ჩერდებოდნენ, ნაჩქარევად აშენებული პარლამენტის შენობა ქუთაისში, რომლის მშენებლობასაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, და კიდევ რამდენი...

სად გეჩქარებათ? საინტერესოა, რას დაამთხვიეთ „დეზერტირების“ გახსნა, ნაჩქარევად დანიშნულ არჩევნებს თუ თვის ბოლოდან თვის დასაწყისში გადმოტანილ თბილისქალაქობას?

ელგუჯა ნადარეიშვილი
ავტორის ფოტო.



◎ პერსონა

ნეილ არმსტრონგის სიზმრების სტუმარი

აგვისტოს მიწურულს გარდაიცვალა ადამიანი, ვინც მთვარის ზედაპირზე პირველმა დადგა ფეხი. 1969 წლის 21 ივლისს ამერიკელმა ასტრონავტმა ნეილ არმსტრონგმა ქვეყნის გასაგონად ისტორიული ფრაზა წარმოთქვა: „ერთი კაცისთვის ეს პატარა ნაბიჯია, მაგრამ მთელი კაცობრიობისთვის უზარმაზარი ნახტომი!“. მთვარეზე ნეილ არმსტრონგმა და მისმა მეწყვილე ედვინ ოლდრინმა ორნახევარი საათი დაჰყვეს.

ნეილ არმსტრონგი ოჰაიოს შტატის ქალაქ უაპაკონეტში 1930 წლის 5 აგვისტოს დაიბადა. იგი კორეის ომში მონაწილეობდა, ავიაგამანადგურებლით 76 საბრძოლო გაფრენა ჰქონდა შესრულებული, ერთხელ ჩამოაგდეს კიდეც. მას შედალი და ორი ოქროს ვარსკვლავი ჰქონდა მიღებული, მოგვიანებით კი მფრინავი-გამომცდელი გახდა. იგი კოსმოსური ექსპედიციის ჯემინაი-8“-ის მონაწილეც იყო, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ორბიტაზე ორი კოსმოსური ხომალდის პირველ შეპირისპირებაში.

1971 წელს, ნასადან წასვლის შემდეგ იგი ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატში გადავიდა საცხოვრებლად, რომლის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, კითხულობდა ლექციებს აეროდინამიკასა და საფრენო გამოცდებში, მის სამეცნიერო ინტერესთა სფეროში კი მთავარი თემა ბიოტექნოლოგიები იყო. ბოლო წლები მან ოჯახთან ერთად ცინცინატიდან 40 კილომეტრის მოშორებით ფერმაში გაატარა, სხვა მხრივ კი განმარტოებით ცხოვრობდა და ჟურნალისტებსაც ერიდებოდა. გთავაზობთ მისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუს მცირე ამონარიდს.



— მისტერ არმსტრონგ, თქვენ წინასწარ იცოდით, რომ პირველი კაცი იქნებოდით, ვინც მთვარეზე ფეხს დადგამდა?

— არა, ნომრები უკანასკნელ მომენტებში განაწილდა, მთვარეზე „აპოლონ-11“-ის დაჯდომის შემდეგ. და, მერწმუნეთ, ეკიპაჟის არც ერთი წევრისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვინ იქნებოდა პირველი, ვინც მთვარეზე გადავიდოდა. ჩვენ გლობალურ მისიაზე კი არა, ეკიპაჟის წინაშე დაყენებული კონკრეტული ამოცანის შესრულებაზე ვფიქრობდით. ჩვენს უკან ხომ მთლად მთელი ამერიკა თუ არა, ის ორმოცი ათასი კაცი მაინც ხომ იყო — მუშა, მეცნიერი, ინჟინერი, ექიმი, კონსტრუქტორი — ვინც მარტო ერთი „აპოლონის“ ფრენას უზრუნველყოფდა!

— რაიმე სინანული თუ გქონიათ უკვე მისიის შესრულების შემდეგ?

— რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ბევრი დრო მოგზაურობაში, სხვადასხვა შეხვედრებში, ჟურნალისტების წინაშე გამოსვლებში დავხარჯე. შვილები მეზრდებოდნენ მე კი მთელ მსოფლიოში დავდიოდი და მათთვის საჭირო დროის დათმობას ყოველთვის ვერ ვახერხებდი.

— მთვარე თუ გესიზმრებათ?

— ო-ო... ჩვეულებრივ მეკითხებიან ხოლმე, რომელია მთვარეზე გასეირნების ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებაო, იმას კი, მთვარე მესიზმრება თუ არა, პირველად თქვენ მეკითხებით. იგი მე მართლაც მესიზმრება, უფრო სწორად კი ჩემი იქაური ეპოპეის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი. საქმე ისაა, რომ მთვარეზე ოპტიკური ეფექტები გაცილებით მკვეთრია, ვიდრე დედამიწაზე, ამიტომაც იქაური ჰორიზონტი გაცილებით უფრო ახლოს გეჩვენებათ, ვიდრე ამას მიჩვეულები ვართ. ჰოდა, სწორედ მთვარის ჰორიზონტი — ისეთი ახლო, რომ, გგონია, ხელი რომ გაიშვირო, შეეხები და შეიგრძნობ! — დროდადრო მესტუმრება ხოლმე სიზმარში...

ნინო ალექსანდრია

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: უკიდურესად მიჭირს, ვარ 4 შვილის დედა. ვსარგებლობდი ყოველთვიური დახმარებით და შეღავათებით, რომელიც 2007 წლიდან გამოუქმეს. იქნებ, დამეხმაროთ და მაცნობოთ, არ მეკუთვნის დახმარება და შეღავათები?

ელენე ჩხაიძე

პასუხი: იმისთვის, რომ დახმარება მიიღოთ და ყველა სახის გადასახადში 50%-იანი შეღავათებითაც ისარგებლოთ, საჭიროა, შეიტანოთ განაცხადი სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურში - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში. ამის შემდეგ, თქვენთან მოვა ზემოაღნიშნული სააგენტოს თანამშრომელი, რომელიც შეამოწმებს ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს და თუ მოგენიჭებათ შესაბამისი სარეგისტრაციო ქულა, მოიპოვებთ ყოველთვიური დახმარების მიღების უფლებას და ისარგებლებთ 50%-იანი შეღავათებით ყოველგვარი გადასახადების გადახდის დროს. აღნიშნულის გარეშე, შეღავათებით სარგებლობისთვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

მოგვმართეთ: 299-62-77.

◎ რისკის ფაქტორები

რატომ ავადმყოფობთ?

მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია ოთხ მდგენელს გამოყოფს, რომელზეც ჩვენი ჯანმრთელობაა დამოკიდებული. ესენია — ეკოლოგია, მემკვრიდრეობითობა, სამედიცინო დახმარების ხარისხი და, რაღა თქმა უნდა, ცხოვრების წესი.

● **თამბაქოს მოწევა.** ეს მავნე ჩვევა სიცოცხლეს 8-15 წლით გვიმოკლებს. მწეველებს არამწეველებთან შედარებით სამჯერ უფრო ხშირად ემართებათ ინფარქტი, ფილტვების კიბოს 90 პროცენტს კი სწორედ თამბაქოს წევას უკავშირებენ. გარდა ამისა, თამბაქოს მოწევა დიდ როლს ასრულებს პანკრეატიტის, გასტრიტის, უშვილობისა და თვალის ზოგიერთი დაავადების წარმოშობისას.

● **ალკოჰოლის ძარბი მოხმარება.** ალკოჰოლიანი სასმელების ჭარბ მოხმარებას უკავშირდება გულის, სისხლძარღვთა, ღვიძლის დაავადებები,

აგრეთვე სერიოზული ტრავმები. ალკოჰოლის რეგულარული მოხმარება ინტელექტის დაქვეითებას იწვევს. ზოგადად კი, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას ექიმები 60-ზე მეტ დაავადებას უკავშირებენ.

● **კვების ხარისხი.** გენეტიკოსთა მონაცემებით, ონკოლოგიურ დაავადებათა 35 პროცენტში ავადმყოფობა რაციონში არაჯანსაღ საკვებსა და ფასტფუდს უკავშირდება.

● **ჰიპოდინამია.** მათ, ვინც დღეში 6 საათზე მეტ დროს ზის, უახლოეს 15 წელიწადში ავად გახდომის 40 პროცენტით მეტი შანსი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც დღეში 3 საათზე ნაკლებს ზის.

● **სტრესი.** ხანგრძლივი ნერვული დაძაბულობა — ესაა გასტრიტის, ჰიპერტონიისა და სტენოკარდიის, უძილობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის „ამშვები მექანიზმი". მედიკოსთა მონაცემებით, სტრესებს, მეტ-ნაკლებად, ყველა დაავადების 75-დან 90 პროცენტი უკავშირდება.

● **დაავადებათა პროფილაქტიკა.** გასული საუკუნის 60-იან წლებში ისლანდიამ სკრინინგის პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამა შემოიღო, რომლის მიზანია ადრეულ სტადიაზე საშოს ყელის კიბოს აღმოჩენა. 20 წლის შემდეგ ამ სნეულებისგან სიკვდილიანობა 80 პროცენტით შემცირდა. მთლიანად კი, თუ სნეულებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ დიაგნოსტიკას საერთო სახელმწიფო მასშტაბი აქვს, ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა უმჯობესდება.

● **მემკვიდრეობითი მიდრეკილება.** არსებობს დაახლოებით ექვსი ათასი მემკვიდრეობითი დაავადება, თუმცა კი, ყველაზე ხშირად მათგან ხუთი გვხვდება ხოლმე, მაგრამ, შემთხვევათა უმრავლესობაში მართებული იქნება ვილაპარაკოთ არა სნეულების მემკვიდრეობითობაზე, არამედ მისდამი მემკვიდრეობითი მიდრეკილების შესახებ. მაგალითად, თუკი მშობლებს დიაბეტი, ჰიპერტონია, ფსორიაზი ან ალერგია აქვთ, სულაც არ არის აუცილებელი, რომ რომელიმე ამ სნეულებით შვილიც დაავადდეს.

● **ავადმყოფი ნათესავები.** რაც უფრო მეტი სნეული ნათესავი ჰყავს, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ თავადაც დაავადდება. მაგალითად, თუკი ალერგია ერთ-ერთ მშობელს აქვს, მაშინ იმის ალბათობა, რომ იგი ბავშვსაც ექნება, 20-40 პროცენტია, მაგრამ თუ ავად ორივე მშობელია — მაშინ ეს მაჩვენებელი 40-60 პროცენტს შეადგენს.

● **დაბინძურების დონე.** სამრეწველო ქალაქებში ბავშვები დაახლოებით 2-2,5-ჯერ უფრო ხშირად ავადმყოფობენ, ვიდრე ეკოლოგიურად უსაფრთხო რაიონებში.

● **ხმაური.** 50-55 დეციბელის გამუდმებული ხმაური ნერვული სისტემის მუშაობაში შეფერხებების მიზეზი ხდება. დიდი საავტომობილო გზიდან 100 მეტრით მოშორებულ სახლებშიც კი ხმაურის დონე იშვიათად არის 70 დეციბელზე ნაკლები.

● **მწვანე ნარგავთა არსებობა.** შეამჩნიეს, რომ პარკების მახლობლად მცხოვრებლებს ჭარბი წონა ნაკლებად აქვთ ხოლმე. მათ ასევე ნაკლებად აწუხებთ სუნთქვისა და გულის პრობლემები.

● **ელექტრომაგნიტური გამოსხივება.** ამ პარამეტრს შეუძლია ნერვულ მდგომარეობასა და სისხლის მიმოქცევაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა, ამიტომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ანდა მობილური კავშირის კოშკის მახლობლად სახლობა სასურველი არ არის.

● **სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა.** რაც უფრო ადვილად შეუძლია კაცს კვალიფიციურ ექიმთან მოხვედრა, მით უფრო მაღალია მისი გამოჯანმრთელების შანსები.

ნინო ალექსანდრია

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყიდნაც ბინებს ერთეული ბინებიც

ინტერვიუ თემურ შაშიაშვილთან

პირველი განცხადებები იმის შესახებ, რომ უვანიას მკვლელობის დამადასტურებელი მასალები ბუნებაში არსებობდა, თვეების წინ ექსკლუზიურად „კვირის ქრონიკაში" გააკეთა ბატონმა თემურ შაშიაშვილმა. აი, რას ამბობს იგი ამჯერად: „საზოგადოებას წინ ელოდება ისეთი მასალები, ხალხი შოკში ჩავარდება. შეიძლება ვინმემ იკითხოს, იმაზე მეტი რაღა უნდა გვაჩვენონ, რაც ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ გვიჩვენესო, მაგრამ მერწმუნეთ, კიდევ უფრო საშინელი და ენით აუწერელი სიბინძურეების ამსახველი მასალები და კადრები არსებობს და ამას მალე ვნახავთ.

„ქრონიკა"

რატომ გააძლიერეს პატრიარქის დაცვა?

საქართველოში არაერთხელ გავრცელდა ცნობა, რომ საქართველოს პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ შეთქმულება თუ პროვოკაცია იგეგმება. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ პატრიარქის წინააღმდეგ შეთქმულებაში რამდენიმე მაღალი რანგის სასულიერო პირიც მონაწილეობს. ასეთი დაპირისპირების არსებობას საპატრიარქო ოფიციალურად უარყოფს, კულუარულად კი იქიდან სულ სხვა ტიპის ინფორმაციები გამოდის.

„ახალი თაობა"

არჩევნების შემდეგ ყველაფერი გაძვირდება

საქართველოში არჩევნების შემდეგ თითქმის ყველა სახის პროდუქტის გაძვირებაა მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე უკვე რამდენიმე თვეა პროდუქციის ფასები პერმანენტულად მზარდია, ჩვენთან ის ასე თუ ისე სტაბილურად ნარჩუნდება, ეკონომიკის ექსპერტთა შეფასებით, ამ დრომდე ფასებს ხელოვნურად „იჭერდნენ", რათა წინასაარჩევნოდ მოსახლეობაში უკმაყოფილება არ გამოეწვიათ.

„რეზონანსი"

პოეტს სამშობლოში სპეცრაზმი დასდევს!

პოეტი დავით მაღრაძე ამბობს: ხომ არის უცნაურობა, რომ იტალიაში სასწავლო სახელმძღვანელოსა და საგამოცდო პროგრამაში შეაქვთ ჩემი პოემა „ჯაკომო პონტი" და საკუთარ ქალაქში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სპეცრაზმს მიყენებენ, რომ უნივერსიტეტში ახალგაზრდობას არ შევხვდე... მჯერა, რომ ძალიან მალე თბილისის ქუჩებში შეყვარებულების სეირნობა, კეთილი სალამი და ღიმილი დაბრუნდება.

„კვირის პალიტრა"

იყიდება ბინა სასწრაფოდ!

ძალაძის ცენტრში, ოპერის უკან, თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ სალამოს — 247-57-79.

◎ ძველი ანეკდოტების კვალდაკვალ

ჯაჭკაჭასგან თძმული

— **პორუჩიკო,** გვიამბეთ, რისთვის მოგანიჭეს რუსეთის წოდება.

— რისთვის და რუსეთის აღებისთვის. ვსხედვართ ერთხელ, ქაღალდს ვშლით და უცებ ყვირილი მესმის: პორუჩიკო, ცოლი ჩამოგვიდა! უცებ წამოვხტი შეშინებული, შევახტი ჩემს ცხენს და რუსეთამდე სულ დათხილი ვაჭენე, დანარჩენებიც ეგრევე უკან მომყვნენ. რუსეთშიღა მომაგონდა, რომ ჯერ ისევ უცოლო ვიყავი.

* * *



— **პორუჩიკო,** მართალია, შენზე რომ ამბობენ, ქალები სულ ჯგრო-ჯგრო დასდევენო?..

— კი, დამდევდნენ, საფრანგეთიდან ორი ჩემოდანი ქალის საცვლები რომ ჩამოვიტანე გასაყიდად.

* * *

— **პორუჩიკო,** გჯერათ თუ არა, რომ მომავალში რეზინის ქალებიც იქნებიან?

— ქალებს, ჩემო ბატონო, არც ახლა ეშლებათ გაჭიმვა.

* * *

— **პორუჩიკო,** ამბობენ, 1812 წელს ბევრი ფრანგი დააწვინესო.

— თუ ქალებს გულისხმობენ, მართალი უთქვამთ...

* * *

— **პორუჩიკო,** ამბობენ, მოწინააღმდეგის მხრეებზე ამხედრებული შედიოდი ქალაქებშიო.

— როცა ცხენს მიკლავდნენ, სხვა რა გზა მქონდა...

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე" იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24